

# ახალგაზრდობის საჭიროებების, გამოწვევების, ინტერესების და რესურსების კვლევა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი

2020



სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტო“ სამწლიანი რეფორმის ფარგლებში, ახორციელებს - „მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამას, რომელიც 11 მუნიციპალიტეტში მხარს უჭერს მუნიციპალური ახალგაზრდული მუშაკების გადამზადებას და მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმების შექმნას.

ა(ა)იპ „კავშირი მშვიდობისა და განვითარების აკადემია ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ახორციელებს პროექტს “გაადლიერე ცვლილებისათვის - ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერება ახალგაზრდობის მონაწილეობისათვის”, რაც გულისხმობს ევროპული გამოცდილების გაზიარებას და ახალგაზრდებისათვის, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საჯარო მოხელეებისათვის განვითარების პროგრამებს. შესაბამისად, ახალგაზრდობის სააგენტო ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის ხელშეწყობის პროგრამის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით ერთვება აღნიშნულ პროგრამაში და ატარებს ახალგაზრდების საჭიროებების კვლევას.

# ახალგაზრდობის კვლევა

კვლევის შედეგები

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი

# სარჩევი

კვლევის ძირითადი მიგნებები .....	2
რეკომენდაციები .....	8
შესავალი .....	10
მეთოდოლოგია.....	11
თვისებრივი კვლევის შედეგები .....	14
ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევები .....	14
ახალგაზრდებისთვის შეთავაზებული პროგრამები/აქტივობები და ინფორმაციის გავრცელების მექანიზმები .....	20
ახალგაზრდების ჩართულობა.....	24
დასკვნა.....	26
რაოდენობრივი კვლევის შედეგები.....	30
ახალგაზრდების დემოგრაფიული მახასიათებლები .....	30
სამოქალაქო აქტიურობა .....	31
მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პროგრამები და სერვისები.....	34
საგანმანათლებლო და საინფორმაციო ტექნოლოგიებთან წვდომა.....	36
დასაქმება და მასთან დაკავშირებული საკითხები .....	37
გართობისა და დასვენების შესაძლებლობები .....	39
მოხალისეობა.....	41
სპორტული აქტივობები .....	43
მავნე ნივთიერებებზე/ჩვევებზე დამოკიდებულება.....	45
მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები .....	46
ტოლერანტობა .....	46
დასკვნა.....	47
დანართი.....	52

## კვლევის ძირითადი მიგნებები

### სამოქალაქო აქტიურობა

- ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების 54% ფიქრობს, რომ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში ახალგაზრდების ინტერესები გათვალისწინებულია, თუმცა 38% ფიქრობს, რომ მათი ინტერესები გათვალისწინებული არ არის.
- გამოკითხული ახალგაზრდების განცხადებით, ბოლო 12 თვის მანძილზე მონაწილეობა მიუღიათ საზოგადოებრივი სივრცის დასუფთავებაში (სადარბაზო, ქუჩა, სკოლა, ეკლესიის ეზო და მსგავსი ადგილები) (26%), მოხალისეობრივ აქტივობებში (21%), სოციალურ ქსელებსა და ფორუმებში სხვადასხვა საკითხის განხილვაში (20%), სხვა სახის აქტივობებში კი უფრო იშვიათად იყვნენ ჩართული.
- გამოკითხულმა ახალგაზრდებმა მათ წინაშე მდგარი ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა დაასახელეს. უმრავლესობა (57%) მთავარ პრობლემად დასაქმების საკითხს მიიჩნევს. ასევე, ხშირად დასახელდა თავისუფალი დროის ხარისხიანად გატარების შესაძლებლობის ნაკლებობა (დასვენება/გართობა) (50%), ტექნოლოგიებთან წვდომა (36%), ვარჯიში/სპორტულ აქტივობაში ჩართვის შესაძლებლობა (33%), პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა (30%), უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობა (28%), ოჯახის წევრების მიგრაცია საზღვარგარეთ (21%) და ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა (21%).
- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ძირითად ნაწილს სმენია მუნიციპალიტეტში არსებული ახალგაზრდული პროგრამების შესახებ. ახალგაზრდები საუბრობენ მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ დღეებზე, რომელიც, მათი განცხადებით, ყოველწლიურად ტარდება. გარდა ამისა, რამდენიმე მონაწილემ ისაუბრა ახალგაზრდულ საკრებულოზეც და აღნიშნა, რომ ჩართული იყო მის საქმიანობაში.
- კვლევის მონაწილეების დიდ ნაწილს სმენია ახალგაზრდული ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ. მონაწილეებმა დაასახელეს „ათინათის“, „წითელი ჯვრის“, „მშვიდობის კორპუსის“, „სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“, „მშვიდობისა და განვითარების აკადემიის“ მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ. მონაწილეები დადებითად აფასებენ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას.
- მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლის განცხადებით, ახალგაზრდები ნაკლებად არიან ჩართული მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. მისი თქმით, მიუხედავად მუნიციპალიტეტის მცდელობისა, ახალგაზრდების აქტიურობა მაინც ნაკლებია.
- არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ახალგაზრდები ჩართული არიან მათ აქტივობებში. ორგანიზაციის წარმომადგენლების განცხადებით, ყოველწლიურად ახალგაზრდების დაინტერესება იმატებს, ასევე, იზრდება სხვადასხვა აქტივობაში მოხალისეების რაოდენობაც.

## მუნიციპალიტეტში არსებული ახალგაზრდული პროგრამები და სერვისები

- ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (67%) ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით სოციალური ქსელების საშუალებით იღებს.
- გამოკითხული ახალგაზრდების მხოლოდ 34% ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ერთხელ მაინც იყო ჩართული მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. არმონაწილეობის ძირითად მიზეზებად კი ინფორმაციის არქონა სახელდება.
- რესპონდენტების უმრავლესობას (60%) ერთხელ მაინც მიუღია მონაწილეობა მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ პროგრამებში.
- რესპონდენტთა ნახევარს (50%) მიუძღვრება ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტისთვის რაიმე პროექტის ან/და ინიციატივის განხორციელების მიზნით, ხოლო 47%-ს - არა.
- მონაწილეთა 73% ამბობს, რომ კმაყოფილია მიღებული დახმარებით, ხოლო, 20% ამბობს, რომ უკმაყოფილოა, 2%-ი კი ვერ აფასებს, რამდენად კმაყოფილი ან უკმაყოფილოა გაწეული დახმარებით.
- გამოკითხული ახალგაზრდების 28% აცხადებს, რომ არ უსარგებლიათ შემდეგი სერვისებით: არაფორმალურ საგანმანათლებლო პროგრამები (ტრენინგ კურსები, სემინარები, ვორქშოპები და სხვა), მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული და სპორტული წრეები, საბანაკე პროგრამები, საინფორმაციო და საკონსულტაციო სერვისები. აღნიშნული სერვისებით არსარგებლობის მიზეზად კი ყველაზე ხშირად ინფორმაციის არქონა (40%), კოვიდ-19-ის პანდემია (21%) და სურვილის არქონა (17%) დასახელდა. ახალგაზრდების 13% კი აცხადებს, რომ შეთავაზებული სერვისი არ პასუხობდა მის საჭიროებებს.
- ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის თქმით, მუნიციპალიტეტი ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა საგანმანათლებლო და სპორტულ აქტივობას ახორციელებს. რესპონდენტის განცხადებით, ეწყობა ახალგაზრდული ბანაკები, ასევე, ზაფხულში იმართება ახალგაზრდული დღეები, იმართება ექსკურსიები წარმატებული მოსწავლეებისთვის, ხდება გამორჩეული ახალგაზრდების დაფინანსება. რესპონდენტის თქმით, მუნიციპალიტეტი აფინანსებს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის პროექტსაც.
- რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შეთავაზებულ აქტივობებს, ისინი ახალგაზრდებს ძირითადად საგანმანათლებლო და ინფრასტრუქტურულ პროექტებს სთავაზობენ. ასევე, აკეთებენ გაცვლით პროექტებს ახალგაზრდებისთვის.

## ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევები

- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების აზრით, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების წინაშე შემდეგი გამოწვევები დგას: ახალგაზრდული სივრცეების ნაკლებობა; სამუშაო ადგილების სიმცირე; განათლების, მათ შორის

არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემა; კულტურული და გასართობის წრეების ნაკლებობა; სპორტული ინფრასტრუქტურისა და სპორტული წრეების მრავალფეროვნების პრობლემა; საჯარო ბიბლიოთეკებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა, წიგნების ნაკლებობა; ინტერნეტთან და ტექნიკასთან ხელმისაწვდომობის პრობლემა; ტრანსპორტის პრობლემა; მიგრაციის პრობლემა; ახალგაზრდების ინფორმირებულობის დაბალი დონე სხვადასხვა აქტივობისა და შესაძლებლობის შესახებ.

- ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის თქმით, ახალგაზრდების წინაშე მდგარი პრობლემებიდან ძირითადია ახალგაზრდული სივრცეების ნაკლებობა, დასაქმებასთან და მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები.
- არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების აზრით, ახალგაზრდებისთვის პრობლემურია ახალგაზრდული სივრცეების ნაკლებობა და ინფორმაციის გავრცელების პრობლემა.

### **საგანმანათლებლო და საინფორმაციო ტექნოლოგიებთან წვდომა**

- ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა ამბობს, რომ წვდომა კომპიუტერთან (91%) და ინტერნეტთან (100%) აქვს.
- რესპონდენტები ყველაზე ხშირად საინფორმაციო ტექნოლოგიებს სასწავლო მიზნით (73%) და გასართობად (60%) იყენებენ, ასევე ხშირად დასახელდა სოციალური ქსელების გამოყენების მიზნით (58%) და ინფორმაციის მისაღებად (58%) სარგებლობა.
- თვისებრივ კვლევაში მონაწილე არასრულწლოვანი მონაწილეები ყურადღებას ამახვილებენ განათლებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. როგორც რესპონდენტების ნაწილმა აღნიშნა, სკოლაში პრობლემურია სასწავლო წიგნებზე ხელმისაწვდომობა. ერთ-ერთი რესპონდენტი საუბრობს იმაზეც, რომ სასწავლო წიგნებზე ხელმისაწვდომობა პრობლემურია მასწავლებლებისთვისაც. მათი განცხადებით, არის შემთხვევა, როდესაც კლასში ერთი სასწავლო წიგნია, რომლითაც სარგებლობს როგორც მასწავლებელი, ასევე მოსწავლეები. გარდა ამისა, 14-17 წლის ახალგაზრდების ნაწილი აცხადებს, რომ პრობლემურია ონლაინ სწავლება, რადგანაც მოსწავლეების ნაწილს არ აქვს ინტერნეტთან და შესაბამის ტექნიკასთან ხელმისაწვდომობა. მათი განცხადებით, პრობლემურია ინტერნეტის ხარისხიც.
- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდები საუბრობენ მუნიციპალიტეტში ბიბლიოთეკის ფუქციონირების პრობლემაზეც. მათი თქმით, მუნიციპალიტეტში არსებულ ბიბლიოთეკაში არ არის შესაბამისი პირობები, რომ მკითხველმა სამკითხველო დარბაზით ისარგებლოს. გარდა ამისა, მათი განცხადებით, ბიბლიოთეკაში საჭიროა წიგნების განახლება, რადგანაც ბევრ ახალგაზრდას არ აქვს შესაძლებლობა შეიძინოს წიგნი. მით უფრო, რომ მუნიციპალიტეტში არ არის წიგნების მაღაზია. რესპონდენტების განცხადებით, შესაძლებელია წიგნის

გამოწერა, თუმცა წიგნის ადგილზე მიტანას რამდენიმე კვირა ან ერთი თვე სჭირდება, რაც საკმაოდ დიდი დროა.

- თვისებრივ კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა ნაწილი საუბრობს ახალგაზრდებისთვის არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობის საჭიროებაზე და აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია, ბევრი ახალგაზრდა იყოს ჩართული მსგავს აქტივობებში.

### **დასაქმება და მასთან დაკავშირებული საკითხები**

- ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობას (67%) მიაჩნია, რომ ახალგაზრდისთვის მუნიციპალიტეტში დასაქმება რთულია.
- გამოკითხულთა 18% ამბობს, რომ დასაქმებულია, ხოლო სრულწლოვანი რესპონდენტების მეოთხედი (25%) ამბობს, რომ დასაქმებულია. უფრო კონკრეტულად, 14-17 წლამდე რესპონდენტების 1%, 18-22 წლის ახალგაზრდების 15%, ხოლო 23-25 წლის გამოკითხული ახალგაზრდების 33% ამბობს, რომ დასაქმებულია.
- დასაქმებულ რესპონდენტთა უმრავლესობა (60%) ამბობს, რომ მათ სამუშაო ადგილზე ღირსეული და უსაფრთხო შრომის პირობები დაცულია.
- იმ ახალგაზრდების 55%, ვინც ამბობს, რომ არ არის დასაქმებული და ამავდროულად ეძებს სამსახურს (31%), სამსახურს 1-12 თვეა რაც ეძებს.
- ახალგაზრდები, რომლებიც სამსახურს ეძებენ, ყველაზე ხშირად ფიქრობენ, რომ მათი უმუშევრობის მიზეზები კოვიდ 19-ის პანდემია (45%), დასაქმების სერვისების არარსებობა (34%) და ზოგადად, სამუშაო ადგილების ნაკლებობაა (32%).
- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდები და მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი დასაქმებას ახალგაზრდების წინაშე მდგარ გამოწვევად მიიჩნევენ.

### **გართობისა და დასვენების შესაძლებლობები**

- ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში არსებული გართობა-დასვენების შესაძლებლობით გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე მეტი (53%) უკმაყოფილო ან ძალიან უკმაყოფილოა.
- რესპონდენტთა 47% უკმაყოფილოა მუნიციპალიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობით.
- ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში გამოკითხულ ახალგაზრდებს ყველაზე ხშირად ახალგაზრდული ცენტრის (48%), კინოთეატრის (43%), ატრაქციონების პარკის (41%), ლიტერატურული კაფის (27%) და საცურაო აუზის (27%) ფუნქციონირება სურთ.
- რესპონდენტთა 63%-ის თქმით, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის ფიზიკური სივრცე არ არსებობს, 19%-ს კი ამის შესახებ ინფორმაცია არ აქვს.



- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი ამბობს, რომ თავისუფალ დროს მათი ინტერესების შესაბამის აქტივობებსა და მეგობრებთან ერთად ყოფნას უთმობენ. მონაწილეები თანხმდებიან, რომ მუნიციპალიტეტში არ არსებობს ისეთი დაწესებულება, სივრცე, სადაც ახალგაზრდები შეიკრიბებიან და თავისუფალ დროს ნაყოფიერად გაატარებენ.

### **მოხალისეობა**

- გამოკითხული ახალგაზრდების 64%-ის განცხადებით, გასული 12 თვის განმავლობაში მოხალისეობრივ აქტივობებში ჩართული იყო.
- გამოკითხული 14-17 წლის ახალგაზრდების 43%-ს მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში, 18-22 წლის ახალგაზრდების - 61%-ს, ხოლო 23-25 წლის ახალგაზრდების - 76%-ს.
- ის ახალგაზრდები, რომლებიც აცხადებენ, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ მიუღიათ მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ (36%), ამის მიზეზად 39% მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართვის შესახებ არაინფორმირებულობას ასახელებს, 18% - არასაკმარის დროს, ასევე, 18%-ის აზრით, კი ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში მოხალისეობრივი შესაძლებლობა არ არსებობს.

### **სპორტული აქტივობები**

- ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე მეტი (54%) აცხადებს, რომ ფიზიკური აქტივობით კვირაში რამდენჯერმე არის დაკავებული. 16% ამბობს, რომ საერთოდ არ არის დაკავებული ფიზიკური/სპორტული აქტივობით, ხოლო 13% ამბობს, რომ წელიწადში რამდენჯერმე აქტიურობს ფიზიკურად.
- კითხვაზე, თუ რომელ სპორტულ აქტივობაში ისურვებდნენ ჩართვას, რესპონდენტებმა ყველაზე ხშირად კალათბურთი (50%) და ცურვა (46%) დაასახელეს, ასევე ხშირად დასახელდა ფიტნეს ვარჯიშები (53%), ფრენბურთი (51%) და ცეკვა (22%).
- იმ გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა, რომლებიც იშვითად (თვეში/წელიწადში რამდენჯერმე) ან საერთოდ არ არიან დაკავებული სპორტული/ფიზიკური აქტივობით (55%), ამის მიზეზად ყველაზე ხშირად არასაკმარის დროს (28%), კვალიფიციური მწვრთნელების არარსებობას (22%) და არასაკმარის ფინანსურ შესაძლებლობას (16%) ასახელებენ.
- თვისებრივი კვლევის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმართაობასა და სპორტული წრეების ნაკლებობაზე. არასრულწლოვანი ახალგაზრდების ნაწილი ამბობს, რომ მუნიციპალიტეტში არის სხვადასხვა სპორტული წრე, თუმცა ინფრასტრუქტურა გაუმართავია, ასევე, არ არის საცურაო აუზი და ფიტნეს დარბაზი. გარდა ამისა, ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით, ინფრასტრუქტურის გაუმართაობის გამო ზამთარში არ ტარდება სპორტული ღონისძიებები.

### **მავნე ნივთიერებზე/ჩვევებზე დამოკიდებულება**

- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა თვლის, რომ ახალგაზრდებში სიგარეტის (77%), ალკოჰოლის (70%), მარიხუანისა (74%) და ნარკოტიკული საშუალებების (52%) მოხმარება პრობლემურია.
- გამოკითხულთა 68% ფიქრობს, რომ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების აზარტულ თამაშებში ჩართულობა პრობლემურია.

### **მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები**

- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (60%) აცხადებს, რომ მუნიციპალიტეტიდან და/ან ქვეყნიდან წასვლა სურს.
- მუნიციპალიტეტიდან და ქვეყნიდან წასვლის სურვილის ძირითადად მიზეზად ახალგაზრდები დასაქმების უკეთეს შესაძლებლობასა (68%) და უკეთესი განათლების მიღების შესაძლებლობას (59%) ასახელებენ. ასევე, ხშირად დაასახელეს საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (49%) და საკუთარი თავის რეალიზების უკეთესი შესაძლებლობა (47%).
- თვისებრივ კვლევაში მონაწილე რესპონდენტების განცხადებით, ერთ-ერთი პრობლემური საკითხია ახალგაზრდების მიგრაცია, რაც განპირობებულია იმით, რომ მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებს არ ეძლევათ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება.

### **ტოლერანტობა**

- ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების 49% ამბობს, რომ დადებითი დამოკიდებულება აქვს რელიგიური უმცირესობებისადმი.
- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა ამბობს, რომ ნეიტრალური დამოკიდებულება ეთნიკური (52%) და სექსუალური (59%) უმცირესობებისადმი.

## რეკომენდაციები

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც სასურველია მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის დაგეგმვისას.

1. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების ძირითადი ნაწილისთვის (57%) ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, მიუხედავად ასაკისა, დასაქმების საკითხია. თითქმის ყოველი მესამე გამოკითხული ახალგაზრდა (31%) ამბობს, რომ არ არის დასაქმებული და ეძებს სამსახურს. ამასთანავე, როგორც თვისებრივი კვლევიდან გამოიკვეთა, დასაქმების საკითხის პრობლემურობა, რესპონდენტების აზრით, მუნიციპალიტეტიდან ახალგაზრდების მიგრაციას უწყობს ხელს. გამოკითხული ახალგაზრდები, რომლებიც არ არიან დასაქმებული და სამსახურს ეძებენ, მიიჩნევენ, რომ დასაქმებაში სტაჟირების შესაძლებლობა (49%), პროფესიული ცოდნის/უნარების გაუმჯობესება (43%) და დასაქმების სერვისებზე ხელმისაწვდომობა (38%) დაეხმარებათ. **შესაბამისად, სასურველია, მუნიციპალიტეტმა ახალგაზრდებს შესთავაზოს ისეთი პროგრამები, რომელიც მათ პროფესიულ ცოდნას/უნარებს ამაღლებს და ასევე, ახალგაზრდებს სხვადასხვა ტიპის სამსახურში სტაჟირების შესაძლებლობას შესთავაზებს.**
2. ყოველი მესამე გამოკითხული მიიჩნევს, რომ მისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა ტექნოლოგიებთან წვდომაა (36%). რესპონდენტები კი ყველაზე ხშირად საინფორმაციო ტექნოლოგიებს სასწავლო მიზნით (73%) და ინფორმაციის მისაღებად (58%) იყენებენ. გარდა ამისა, თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ნაწილი საუბრობს სკოლის მოსწავლეების ხელმისაწვდომობის პრობლემაზე ინტერნეტთან და კომპიუტერთან. **შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ახალგაზრდების საინფორმაციო ტექნოლოგიებით სარგებლობის უზრუნველყოფა.**
3. ასევე, ხშირად პრობლემად თავისუფალი დროის ხარისხიანად გატარების (დასვენება/გართობა) შესაძლებლობის ნაკლებობა (50%) დასახელდა, რასაც თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდებიც ადასტურებენ. მათი თქმით, არ აქვთ სივრცე, სადაც შეკრებასა და დასვენება/გართობას შეძლებდნენ. **შესაბამისად, სასურველია, მუნიციპალიტეტმა ახალგაზრდებისთვის გასართობი/დასასვენებელი სივრცეების შექმნა/მოწყობაზე იზრუნოს.**
4. გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (65%) ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ ყოფილა ჩართული მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ამის მიზეზად 18% ამბობს, რომ არ ჰქონდა ინფორმაცია, ხოლო 15%-ის თქმით, არავის მიუწვევია. არაინფორმირებულობის პრობლემაზე საუბრობენ თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდებიც. ამავდროულად, ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი ამბობს, რომ მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების გასაცნობად სოციალურ ქსელებს იყენებენ, ინფორმაციის მიღების წყაროდ, ასევე, ახლობლები/მეგობრები/ნათესავეები და ტელევიზია დასახელდა. **შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტის მიერ ახალგაზრდების ინფორმირების**

ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება, განსაკუთრებით კი ჩამოთვლილი საინფორმაციო წყაროების უფრო ეფექტიანად გამოყენება და ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

5. გამოკითხული ახალგაზრდების 36% ამბობს, რომ გასული 12 თვის მანძილზე მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია, მიზეზად 39% აცხადებს, რომ არ აქვს ინფორმაცია, როგორ ჩაერთოს მოხალისეობრივ საქმიანობაში, 18% კი თვლის, რომ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში მოხალისეობის შესაძლებლობა არ არსებობს. ვაჟები უფრო ხშირად ამბობენ, რომ არ არიან ინფორმირებული, როგორ ჩაერთონ მოხალისეობრივ აქტივობებში, ვიდრე გოგონები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ახალგაზრდების მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართულობის უზრუნველყოფა და მათთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება, განსაკუთრებით კი მამაკაცი ახალგაზრდებისთვის, ვინაიდან ისინი ნაკლებად ინფორმირებული აღმოჩნდნენ მოხალისეობრივი შესაძლებლობების შესახებ, ვიდრე გოგონები.
6. გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა თვლის, რომ ახალგაზრდებში სიგარეტის, ალკოჰოლის, მარიხუანისა და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება პრობლემურია. გარდა ამისა, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (55%), იშვიათად (თვეში ან წელიწადში რამდენჯერმე) ან საერთოდ არ არიან დაკავებული სპორტული ან ფიზიკური აქტივობით და მიზეზად საჭირო ინფრასტრუქტურისა და სასურველი წრის არარსებობას ასახელებს. ამავდროულად, მიზეზად სასურველი წრეების არარსებობას უფრო ხშირად 23-25 წლის რესპონდენტები ასახელებენ, ვიდრე სხვა ასაკის ახალგაზრდები. შესაბამისად, სასურველია, ახალგაზრდებში ფიზიკური/სპორტული აქტივობის პოპულარიზაცია. გარდა ამისა, სასურველია, არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და/ან ახალი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა.

## შესავალი

ახალგაზრდობა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ადამიანური კაპიტალის განვითარებაში, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის სოციო-ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების საფუძველია. ახალგაზრდები ხშირად არიან ცვლილების, განვითარებისა და ინოვაციების ინიციატორები. საქართველოში ახალგაზრდების აქტივობისა და დასაქმების მაჩვენებლების ანალიზი აჩვენებს, რომ მათი შესაძლებლობები სრულად არ არის გამოყენებული. მაგალითად, ე.წ. NEET მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს უმუშევარ და არააქტიურ ახალგაზრდებს, 2018 წელს 15-24 წლის ასაკის ახალგაზრდებში 27% იყო. ეს მაჩვენებელი ასაკთან ერთად იზრდება და 15-29 წლის ასაკში თითქმის 30% -ს აღწევს (ETF, 2019). NEET მაჩვენებელი ქალებს შორის და ქალაქის ტიპის დასახლებებში უფრო მაღალია. NEET სოციალური ჩართულობის პრობლემასაც ასახავს. სხვა კვლევებიც ადასტურებს, რომ კვლავ მწვავედ დგას ახალგაზრდების განათლებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დემოგრაფიული ცვლილებების ფონზე მცირდება ახალგაზრდების წილი მოსახლეობაში და უფრო მნიშვნელოვანი ხდება მათი შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზება.

მნიშვნელოვანია ახალგაზრდების პოლიტიკის უფრო ფართო კონტექსტში გააზრება როგორც ეროვნულ, ასევე, ადგილობრივ დონეზე და დაინტერესებული მხარეების, მთავრობის, სოციალური პარტნიორების, მუნიციპალიტეტების, სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობა. ახალგაზრდული პოლიტიკის წარმატებით დაგეგმვისა და განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია თითოეულ მუნიციპალიტეტში კვლევაზე დაფუძნებული, რეალურ საჭიროებებზე ორიენტირებული სამოქმედო გეგმების შემუშავება. ადგილობრივი თვითმმართველობები ნაკლებად იკვლევენ და შესაბამისად, ნაკლებად არიან ინფორმირებულნი ახალგაზრდების რეალური საჭიროებების შესახებ (Friedrich Ebert Stiftung, 2016). კვლევები და არსებული მტკიცებულებები ნაკლებად გამოიყენება ახალგაზრდების საჭიროებების დასადგენად, ანდა ახალგაზრდული პოლიტიკის შესამუშავებლად, რაც საჭირო რესურსების ნაკლებობასაც (მეთოდოლოგიური, ადამიანური) უკავშირდება.

სწორედ ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ახალგაზრდობის სააგენტოს ინიციატივით „მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის“ პროექტის ფარგლებში ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ჩატარდა ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა. კვლევის შედეგებისა და უკვე არსებული მეორადი მონაცემების გათვალისწინებით შემუშავდება მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკა, ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები, განხორციელდება პროგრამები და ინიციატივები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

წინამდებარე კვლევის მიზანია ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებების, ინტერესებისა და სხვადასხვა საკითხისადმი დამოკიდებულებების შესწავლა. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 14-25 წლის 169 ახალგაზრდა. წინამდებარე ანგარიშში, ტერმინები „ახალგაზრდა“ და „ახალგაზრდა პირი“ ერთი მნიშვნელობით გამოიყენება და აღნიშნავს 14-25 წლის ასაკის პირს. კვლევის ძირითადი მიმართულებები განისაზღვრა „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის“ (განკარგულება №533, 2014) საფუძველზე, რომელიც ზოგად ჩარჩოს ქმნის ახალგაზრდული პოლიტიკისთვის. კვლევის ფოკუსს წარმოადგენს:

- ახალგაზრდების წინაშე მდგარი პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება;
- ახალგაზრდების საჭიროებების შესწავლა;
- ახალგაზრდებისთვის არსებული შესაძლებლობების გამკვლევა.

კვლევა შეეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა: დასაქმება, განათლება, მონაწილეობა, ცხოვრების სტილი, ჯანმრთელობა და სხვა მომიჯნავე საკითხები.

შესაძლოა კვლევა ჩაითვალოს უფრო ღრმა ანალიზისა და პოლიტიკური დისკუსიის საწყის ეტაპად. კვლევის დასრულების შემდეგ გადაიხედება და გადამუშავდება მეთოდოლოგია, რომლის გამოყენება სამომავლოდაც შესაძლებელი იქნება. განგრძობითი კვლევები მუნიციპალიტეტს შესაძლებლობას მისცემს გააანალიზონ ახალგაზრდების გამოწვევებისა და პრობლემების განვითარების დინამიკა და მიღებული შედეგები პროგრამების დაგეგმვისას გამოიყენონ.

## მეთოდოლოგია

ახალგაზრდობის კვლევაში გამოყენებულია: რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები.

რაოდენობრივი კვლევის მიზანი ახალგაზრდების საჭიროებების, ინტერესებისა და დამოკიდებულებების შესწავლა იყო. გამოყენებულია გამოკითხვის მეთოდი. არსებული სიტუაციის - კოვიდ-19-ის პანდემიის გათვალისწინებით გამოყენებულ იქნა ონლაინ გამოკითხვა. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში გამოიკითხა 194 რესპონდენტი.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ფოკუს ჯგუფისა და ჩაღრმავებული ინტერვიუს ტექნიკებია გამოყენებული. ფოკუს ჯგუფების მიზანი ახალგაზრდების პერსპექტივის, მათ წინაშე მდგარი გამოწვევებისა და მათი გადაჭრის გზების სიღრმისეული შესწავლა იყო. კვლევის ფარგლებში ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ჩატარდა 3 ფოკუს ჯგუფი სამ ასაკობრივ კატეგორიაში (14-17, 18-22, 23-25 წლის ახალგაზრდები), თითოეულ ფოკუს ჯგუფში მონაწილეობა 6-დან 10-მდე ახალგაზრდამ მიიღო.

ჩაღრმავებული ინტერვიუები ძირითად ინფორმანტებთან ჩატარდა, რამაც კვლევის საკითხებთან დაკავშირებით დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებების სიღრმისეულად შესწავლის საშუალება მოგვცა. კვლევის ფარგლებში 3 ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა.

### სამიზნე ჯგუფები

კვლევის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ:

- ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 14-25 წლის ახალგაზრდები;
- ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდულ პროგრამებზე მომუშავე საჯარო მოხელეები;
- ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

### კვლევის ინსტრუმენტები

ონლაინ გამოკითხვა ჩატარდა წინასწარ შემუშავებული კითხვარების საშუალებით. კვლევის ინსტრუმენტები მომზადდა „სოციალური კვლევისა და ანალიზის ცენტრის“ მიერ ახალგაზრდობის სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით. ონლაინ გამოკითხვის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოკითხვის ხანგრძლივობა დაახლოებით 30-40 წუთი იყო.

სიღრმისეული ინტერვიუ და ჯგუფური დისკუსია წარიმართა წინასწარ მომზადებული გზამკვლევის მეშვეობით, რომელიც ახალგაზრდობის სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავდა. სიღრმისეული ინტერვიუს ხანგრძლივობამ საშუალოდ 40 წუთი, ფოკუსური დისკუსიის ხანგრძლივობამ კი, საშუალოდ, 1.5 საათი შეადგინა.

### რესპონდენტთა შერჩევა

რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებთან, რომელთა ასაკი 14-25 წელია.

კოვიდ-19-ის პანდემიის გამო შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე შერჩევის სახედ განისაზღვრა ხელმისაწვდომი შერჩევა, რომლის ფარგლებში გათვალისწინებული იყო პოპულაციის მნიშვნელოვანი მახასიათებლები (სტრატები) - ასაკობრივი ჯგუფები და სქესი.

### მონაცემთა შეგროვება და ანალიზი

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ონლაინ გამოკითხვა 2020 წლის 3 დეკემბრიდან 2021 წლის 7 იანვრამდე პერიოდში მიმდინარეობდა, ხოლო ფოკუს ჯგუფები და ჩაღრმავებული ინტერვიუები - 2020 წლის ნოემბრის მეორე ნახევარსა და დეკემბრის პირველ ნახევარში ჩატარდა.

აღსანიშნავია, რომ რაოდენობრივ მონაცემთა შეგროვება განხორციელდა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის, ახალგაზრდობის სააგენტოსა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით.

მონაცემთა ანალიზის დაწყებამდე, მიღებული რაოდენობრივ მონაცემთა ბაზა გაიწმინდა, ხოლო მონაცემები SPSS 26-ის გამოყენებით გაანალიზდა. თვისებრივი მონაცემები კი კონტენტ ანალიზის საშუალებით გაანალიზდა.

### **კვლევის შეზღუდვები**

ვინაიდან რაოდენობრივ მონაცემთა შესაგროვებლად ონლაინ გამოკითხვის მეთოდი გადაწყდა, ყველა ის შეზღუდვა, რაც ონლაინ გამოკითხვას თან ახლავს, ვრცელდება წინამდებარე კვლევაზეც. ეს შეზღუდვებია:

- ვისაც ინტერნეტთან წვდომა არ აქვს, კვლევაში მონაწილეობას ვერ იღებს;
- გამოკითხვა დროში გაჭიმულია;
- მკვლევარი ვერ აკონტროლებს კითხვარის შევსების გარემოებებს.

გარდა ამისა, ახალგაზრდობის სააგენტოსთან ერთად, მუნიციპალიტეტის თანამშრომლები რესპონდენტთა შერჩევის პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული, რაც კვლევის შეზღუდვად უნდა ჩაითვალოს, რადგან კვლევა რესპონდენტთა მიერ ახალგაზრდული მიმართულებით მუნიციპალიტეტის საქმიანობის შეფასებას მოიცავს.



## თვისებრივი კვლევის შედეგები

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებების შესასწავლად კვლევაში მონაწილეობა თავად ახალგაზრდებმა, მუნიციპალიტეტის მერიისა და ორი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა მიიღეს, რომლებიც ახალგაზრდების განვითარების საკითხებზე მუშაობენ. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების გამოცდილება ამ სფეროში 4 წელზე მეტ ხანს ითვლის, ხოლო სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენელი დაახლოებით 9 წელია, რაც კონკრეტულ პოზიციაზე<sup>1</sup> მუშაობს. რაც შეეხება ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ახალგაზრდებს, მათი ასაკი 14-დან 26 წლამდე მერყეობს და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ქალაქისა და სოფლის მცხოვრებლები არიან.

### ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევები

ფოკუს ჯგუფის წევრების საუბრიდან გამოიკვეთა მუნიციპალიტეტში არსებული რამდენიმე პრობლემა, რომელიც ახალგაზრდებს აწუხებს, კერძოდ:

- ახალგაზრდული სივრცეების ნაკლებობა;
- სამუშაო ადგილების სიმცირე;
- განათლების, მათ შორის არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემა;
- კულტურული და გასართობის წრეების ნაკლებობა;
- სპორტული ინფრასტრუქტურისა და სპორტული წრეების მრავალფეროვნების პრობლემა;
- საჯარო ბიბლიოთეკებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა, წიგნების ნაკლებობა;
- ინტერნეტთან და ტექნიკასთან ხელმისაწვდომობის პრობლემა;
- ტრანსპორტის პრობლემა;
- მიგრაციის პრობლემა;
- ახალგაზრდების ინფორმირებულობის დაბალი დონე სხვადასხვა აქტივობისა და შესაძლებლობის შესახებ.

მონაწილეები თანხმდებიან, რომ მუნიციპალიტეტში არ არსებობს ისეთი დაწესებულება, სივრცე, სადაც ახალგაზრდები შეიკრიბებიან და თავისუფალ დროს ნაყოფიერად გაატარებენ. ძირითადი ნაწილი თავისუფალ დროს მეგობრებთან ერთად ყოფნას, წიგნის კითხვასა და მუსიკის მოსმენას უთმობს. შედარებით მცირე ნაწილი - ბუნებაში განტვირთვას, კომპიუტერულ თამაშებს, სოციალურ ქსელებსა და სპორტულ აქტივობებს.

მონაწილეების ნაწილი აცხადებს, რომ აქტიურადაა ჩართული საოჯახო საქმეებში. აღსანიშნავია, რომ 14-17 წლის მონაწილეები უფრო ნაკლებად არიან ჩართული, ხოლო სრულწლოვანი რესპონდენტების თქმით, სრულად არიან დაკავებული საოჯახო საქმეებით, მათ შორის ჩართული არიან საოჯახო მეურნეობებში.

---

<sup>1</sup> რესპონდენტის იდენტიფიცირების თავიდან ასაცილებლად არ სახელდება პოზიცია.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეების აზრით, მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტში კულტურული და საგანმანათლებლო აქტივობებისთვის სივრცეების შექმნა, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ თავისუფალი დროის ნაყოფიერად გატარებას. მონაწილეების განცხადებით, ახალგაზრდული სივრცეების პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური სოფლებშია. ახალგაზრდები აღნიშნავენ, რომ პრობლემა დიდი ხანია აქტუალურია, თუმცა მისი გადაჭრა ვერ ხერხდება. ერთ-ერთი არასრულწლოვანი მონაწილე საუბრობს ახალგაზრდების ტელეფონსა და კომპიუტერზე დამოკიდებულების საკითხზე. მისი განცხადებით, თუ იქნება შესაბამისი სივრცე, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ თავისუფალი დროის გატარებას, აღნიშნული პრობლემაც მოგვარდება.

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მუნიციპალიტეტში არ აქვთ მრავალფეროვანი სპორტული და გასართობი სივრცეები. ახალგაზრდების განცხადებით, მუნიციპალიტეტში არ არსებობს კინოთეატრი. რამდენიმე მოსწავლე ამბობს, მუნიციპალიტეტში არსებობს თეატრი, თუმცა სპექტაკლის ბილეთები ძვირია, გარდა ამისა, გაუმართავია ინფრასტრუქტურაც და ზამთარში არ არის გათბობა. ახალგაზრდების განცხადებით, პრობლემურია მუნიციპალიტეტში კულტურული წრეების მრავალფეროვნების საკითხი. რამდენიმე რესპონდენტმა განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტში არ არსებობს მისთვის სასურველი წრე. მოსწავლეები საუბრობენ ინფრასტრუქტურის გაუმართაობაზეც. ერთ-ერთი მონაწილის განცხადებით, მუნიციპალიტეტში არსებული კულტურის სახლი ხარვეზებით ფუნქციონირებს, არ არის გათბობა, რის გამოც სხვადასხვა წრე ზამთარში ვერ ტარდება. სრულწლოვანი რესპონდენტების განცხადებით, მნიშვნელოვანია კულტურული წრეების და კლუბების არსებობა სკოლაში, რაც ახალგაზრდებს კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებაში ეხმარება.

კვლევის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმართაობასა და სპორტული წრეების ნაკლებობაზეც. არასრულწლოვანი ახალგაზრდების ნაწილი ამბობს, რომ მუნიციპალიტეტში არის სხვადასხვა სპორტული წრე, თუმცა ინფრასტრუქტურა გაუმართავია, ასევე, არ არის სპორტული წრეების მრავალფეროვნება, მაგალითად, არ არის საცურაო აუზი და ფიტნეს დარბაზი. გარდა ამისა, ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით, ინფრასტრუქტურის გაუმართაობის გამო ზამთარში არ ტარდება სპორტული ღონისძიებები.

არასრულწლოვანი მონაწილეები ყურადღებას ამახვილებენ განათლებასთან დაკავშირებულ პრობლემებზეც. როგორც რესპონდენტების ნაწილმა აღნიშნა, სკოლაში პრობლემურია სასწავლო წიგნებზე ხელმისაწვდომობა. ერთ-ერთი რესპონდენტი საუბრობს იმაზეც, რომ სასწავლო წიგნებზე ხელმისაწვდომობა პრობლემურია მასწავლებლებისთვისაც. მათი განცხადებით, არის შემთხვევა, როდესაც კლასში ერთი სასწავლო წიგნია, რომლითაც სარგებლობს როგორც მასწავლებელი, ასევე მოსწავლეები. გარდა ამისა, 14-17 წლის ახალგაზრდების ნაწილი აცხადებს, რომ პრობლემურია ონლაინ სწავლება, რადგანაც მოსწავლეების ნაწილს არ აქვს ინტერნეტთან და შესაბამის ტექნიკასთან ხელმისაწვდომობა. მათი განცხადებით, პრობლემურია ინტერნეტის ხარისხიც.

არასრულწლოვანი მონაწილეები საუბრობენ სკოლებში ინფრასტრუქტურის გაუმართაობაზე. მათი თქმით, სკოლის ინვენტარი მოსწავლეების საჭიროებებს არ შეესაბამება და მერხებისა და სკამების ზომა ხშირად იწვევს ხერხემლისა და სხვა ჯანმრთელობის პრობლემებს. გარდა ამისა, ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით, სკოლაში გასაახლებელია სპორტდარბაზი, ასევე, სასურველია სკოლაში მოეწყოს ექიმის კაბინეტი.

ახალგაზრდები საუბრობენ მუნიციპალიტეტში ბიბლიოთეკის პრობლემაზე. მათი თქმით, მუნიციპალიტეტში არსებულ ბიბლიოთეკაში არ არის შესაბამისი პირობები, რომ მკითხველმა დარბაზით ისარგებლოს. გარდა ამისა, მათი განცხადებით, ბიბლიოთეკაში საჭიროა წიგნების განახლება, რადგანაც ბევრ ახალგაზრდას არ აქვს შესაძლებლობა შეიძინოს წიგნი. მით უფრო, რომ მუნიციპალიტეტში არ არის წიგნების მაღაზია. რესპონდენტების განცხადებით, შესაძლებელია წიგნის გამოწერა, თუმცა წიგნის ადგილზე მიტანას რამდენიმე კვირა ან ერთი თვე სჭირდება, რაც საკმაოდ დიდი დროა.

რესპონდენტთა ნაწილი საუბრობს ახალგაზრდებისთვის არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობის საჭიროებაზე და აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია ბევრი ახალგაზრდა იყოს ჩართული მსგავს აქტივობებში.

რესპონდენტების განცხადებით, ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს ტრანსპორტის საკითხი. მათი თქმით, პრობლემა გასაკუთრებით აქტუალურია ზამთრის პერიოდში მუნიციპალიტეტის სოფლებში. რამდენიმე არასრულწლოვანი რესპონდენტის განცხადებით, სკოლაში შორ მანძილზე ფეხით უწევს სიარული, რაც განსაკუთრებით რთულია ზამთრის პერიოდში. რესპონდენტები ნაწილი კი აცხადებს, რომ ტრანსპორტი, რომელიც სკოლებს ემსახურება გაუმართავია და არის შემთხვევები, როდესაც ამის გამო მოსწავლეები სკოლაში დაგვიანებით მიდიან.

კვლევის მონაწილეების დასაქმების პრობლემას ერთ-ერთ ძირითად პრობლემად გამოყოფენ. ახალგაზრდების თქმით, პრობლემას წარმოადგენს იმ ახალგაზრდების დიდი რაოდენობა, რომელიც არანაირი საქმიანობით არ არის დაკავებული. მათი თქმით, მნიშვნელოვანია ამ ახალგაზრდების დასაქმება ან სხვადასხვა აქტივობაში ჩართვა. ახალგაზრდების განცხადებით, მუნიციპალიტეტში არ არის ბევრი დაწესებულება, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ დასაქმებას. რამდენიმე რესპონდენტმა განაცხადა, რომ სტაბილურ სამსახურებში უკვე არიან დასაქმებული სხვა ადამიანები და ახალი ადამიანების დასაქმების საჭიროება არ დგას. ერთ-ერთი რესპონდენტი საუბრობს საჯარო სამსახურში ჯანსაღი კონკურენციის ნაკლებობაზე. გარდა ამისა, მისი განცხადებით, მუნიციპალიტეტში არ არის სტაჟირების შესაძლებლობაც. ახალგაზრდების თქმით, სხვადასხვა სავაჭრო ობიექტები იხსნება და მალევე იხურება, რადგან არ არის დიდი ბაზარი. აღნიშნული კი ხელს უშლის სამუშაო ადგილების შექმნას. არასრულწლოვანი რესპონდენტების განცხადებით, აქვთ სურვილი ზაფხულში სეზონურად დასაქმდნენ, თუმცა მუნიციპალიტეტში მათ ამის შესაძლებლობა არ აქვთ.

რესპონდენტების განცხადებით, ერთ-ერთი პრობლემური საკითხია ახალგაზრდების მიგრაცია, რაც განპირობებულია იმით, რომ მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებს არ ეძლევათ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება. ერთ-ერთი რესპონდენტის აზრით, თავად მუნიციპალიტეტიც ნაკლებად არის დაინტერესებული აღნიშნული საკითხის მოგვარებით, რადგან ახალგაზრდებისთვის არ ქმნიან სივრცეებს და დასაქმების შესაძლებლობას, ამით კი ხელს უწყობენ მათი მიგრაციის პროცესს.

სრულწლოვანი რესპონდენტები საუბრობენ ახალგაზრდებში მოტივაციის ნაკლებობაზეც. მათი განცხადებით, რთულია ახალგაზრდების დაინტერესება. გარდა ამისა, რამდენიმე რესპონდენტი საუბრობს ინფორმაციის გავრცელების პრობლემაზეც.

*„რომ იყოს ბავშვებისთვის, ისეთი სივრცე, სადაც ყველანი ერთად რამეს ისწავლიდნენ, თან გაერთობოდნენ, ძალიან კარგი იქნებოდა და თან აღარ იქნებოდნენ ბავშვები, ჩემი აზრით, დამოკიდებული ტელეფონზე.“ (კაცი, 15 წლის, სოფელი ხალუმეში, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი)*

*„არავისთვის არ არის ისეთი ადგილი, რომ შეიკრიბოს. თუნდაც სპორტული აქტივობებისთვის, თუნდაც საგანმანათლებლო ცენტრები, რომ შეიკრიბოს რაღაც დისკუსია მოაწყოს, შეხვიდე დებატებში, აქტუალურ თემებზე ისაუბრო შენ რაც იცი და სხვამ არ იცის. ცოდნა რომ მიაწოდო შენ თანატოლს, შენზე უმცროსს ან უფროსს. არ არის ესეთი ადგილები.“ (კაცი, 15 წლის, ქალაქი ჩხოროწყუ, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი)*

*„კიდევ ერთი პრობლემა ის არის სკოლებში, რომ არასაკმარისი წიგნების რაოდენობაა, რის გამოც ბევრი ვერ ახერხებს, რომ გაკვეთილი ისწავლოს, მაგალითად, ჩემს კლასშიც რამდენიმეს არ აქვს ისტორიის წიგნი, ქართულის წიგნი.“ (კაცი, 15 წლის, ქალაქი ჩხოროწყუ, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი)*

*„როგორც ასეთი, ჩხოროწყუში დარბაზები არის, ანუ კრივის დარბაზი არის, ბოქსის დარბაზი არის, კარატეს დარბაზიც არის, მაგრამ პირობები არ არის, როგორც უნდა იყოს, ასევე საცურაო აუზები არ გვაქვს და არ გვაქვს ფიტნეს დარბაზი.“ (კაცი, 15 წლის, ქალაქი ჩხოროწყუ, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი)*

*„რამდენიმე ბიბლიოთეკა ჩვენთან ცენტრშიც არის და სხვადასხვა სოფლებშიც, მაგრამ არ არის კარგი გარემო, რომ ბიბლიოთეკაში დაჯდე და წიგნი წაიკითხო, თან კი გვაქვს წიგნების რაოდენობა, რამდენჯერაც მივედი და არასდროს არ არის, რაც საჭიროა და ვფიქრობ, რომ ამის განახლება უნდა მოხდეს, საჭიროა წიგნები და გარემოს განახლება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ წიგნების მაღაზია არ არის და ამ ეტაპზე ჩვენ ძალიან ბევრი წიგნი გვჭირდება და ბევრს არ აქვს იმის საშუალება, რომ სულ უკვეთოს ეს წიგნები და შეიძინოს. ვფიქრობ, რომ ბიბლიოთეკაში უნდა იყოს ამის შესაძლებლობა, მაგრამ სამწუხაროდ არ გვაქვს.“ (ქალი, 16 წლის, სოფელი ქვედა ჩხოროწყუ, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი)*

*„მე და ჩემს მეგობრებს გვინდოდა ზაფხულში სეზონური სამსახურის დაწყება, მაგრამ რომ ვიფიქრეთ, არაფერი არ იყო ჩხოროწყულში ისეთი, ზაფხულში ერთი ან ორი თვე რომ გვემუშავა და ამიტომ შევეშვიტეთ ამ საკითხზე ფიქრს.“ (ქალი, 16 წლის, სოფელი ქვედა ჩხოროწყუ, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი)*

*„არსებობს ისეთი სოფლები ჩხოროწყულში, სადაც ტრანსპორტირების პრობლემა, შემოდგომა-ზამთრის პერიოდში და გაზაფხულის დასაწყისში ურთულესი პრობლემაა, როდესაც წვიმებია, ტალახიანია გზები და გადაადგილება ჭირს. ამიტომ ზოგი შეიძლება მეცადინეობაზეც ვერ წავიდეს, ან ფეხით მოუწიოს წამოსვლა, ავტობუსი ერთხელ მიდიოდეს იმ კონკრეტულ სოფელში.“ (კაცი, 15 წლის, ქალაქი ჩხოროწყუ, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი)*

*„შიდა მიგრაციას აქვს ძალიან დიდი ადგილი, უკან არ ვბრუნდებით არანაირი პერსპექტივით. ყველა ადგილი დაკავებულია, ახალგაზრდა რომ ჩამოვიდეს, შენ აქ ზედმეტი ხარ. უკან დასაბრუნებელი გზა არ არის იმიტომ, რომ არ უწყობენ ხელს ისეთ რაღაცების განვითარებას, როგორცაა სოფლის მეურნეობა და კულტურულ სივრცეებს არ გვიქმნიან, სადაც შეიძლება ამ თემებზე საუბარი.“ (ქალი, 18 წლის, ქალაქი ჩხოროწყუ, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი)*

*„სკოლებთან და უნივერსიტეტებთან ერთად ზუსტად იგივენაირად მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების ცენტრები. მაგალითად, ეგეთი რამეა კინოთეატრი და ბავშვობაში მახსოვს ვუყურე ერთხელ, კინოთეატრს არ უარსებია იმის მერე. პრივატიზაცია მოხდა შენობის, ვიცნობ იმ ადამიანსაც, ვისიც არის ეგ კინოთეატრი, ვერ ამოქმედა და რომ დავეხმაროთ ეგეთ ადამიანებს, მაგას ვისურვებდი. კინოს ყურება ყველაზე არადემოკრატიულ ქვეყნებშიც კი არის, დემოკრატიულ ქვეყნებზე საუბარი ზედმეტია. ჩვენთანაც რომ განვაახლოთ, ძან მაგარი იქნება.“ (კაცი, 23 წლის, ქალაქი ჩხოროწყუ, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი)*

კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ძირითად ნაწილს მიაჩნია, რომ მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემები ნაკლებად განსხვავდება ახალგაზრდის სხვადასხვა ჯგუფისთვის. მხოლოდ 14-17 წლის ასაკობრივი ჯგუფის რამდენიმე მონაწილემ განაცხადა, რომ პრობლემები შესაძლოა განსხვავდებოდეს ასაკის და დასახლების ტიპის (ქალაქი, სოფელი) მიხედვით.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა ისაუბრეს, თუ როგორ შეიძლება მათ მიერ დასახელებული პრობლემების გადაჭრა. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ პრობლემები უნდა გადაიჭრას მუნიციპალიტეტთან ურთიერთთანამშრომლობით და ახალგაზრდების ჩართულობით. ახალგაზრდების განცხადებით, მუნიციპალიტეტის მხრიდან უნდა მოხდეს დაინტერესება ახალგაზრდების საჭიროებებისა და პრობლემების მიმართ, ასევე, მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის გავრცელება. შემდეგ კი თანამშრომლობით და ახალგაზრდებთან კომუნიკაციით უნდა დაიწყოს საკითხების მოგვარება. რამდენიმე რესპონდენტის განცხადებით, მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს ახალგაზრდების დაინტერესება და ჩართულობის უზრუნველყოფა. მათი თქმით, მნიშვნელოვანია

მუნიციპალიტეტის ინტერესს და პრიორიტეტს წარმოადგენდეს ახალგაზრდების პრობლემების მოგვარება.

ახალგაზრდები ფიქრობენ, რომ ქვეყანაში ნაკლები ყურადღება ეთმობა რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას. მათი თქმით, მნიშვნელოვანია მოხდეს სოფლის მეურნეობის პოპულარიზაცია და ამ სფეროში დასაქმებული ადამიანების დახმარება. ერთ-ერთი რესპონდენტი დადებითად აფასებს მუნიციპალიტეტში აგრო ცენტრისა და აგრო კლუბის არსებობას. გარდა ამისა, ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ კარგი იქნება მუნიციპალიტეტმა წაახალისოს სტარტაპები, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების დასაქმებას და მიგრაციის პრობლემის მოგვარებას.

რესპონდენტთა ნაწილი საუბრობს ახალგაზრდულ სივრცესთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრაზე. მათი განცხადებით, კარგი იქნება, თუ მუნიციპალიტეტში არსებული კულტურის სახლის რესტავრაცია მოხდება და სივრცე დაეთმობა ახალგაზრდებს სხვადასხვა საჭიროებისთვის.

*„ორივე მხარე უნდა იყოს ჩართული, როგორც გამგეობის მხრიდან, ასევე მოსახლეობის მხრიდანაც. მოსახლეობამ უნდა წამოაყენოს ის პრობლემები, რომელიც აქვს დღევანდელ ახალგაზრდობას და ამ პრობლემებზე საუბრის შემდეგ გადაჭრის გზებზე უნდა იყოს საუბარი და შემდეგ უნდა დაეხმაროს მერია ამ პრობლემების აღმოფხვრაში.“ (ქალი, 15 წლის, ქალაქი ჩხოროწყუ, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი)*

*„რაც რესურსები არის, უბრალოდ ამ რესურსებს სჭირდება გამოყენება და სწორი აქცენტების დასმა. გაიხსნა აგრო ცენტრი, რომელიც მუშაობს და აგრო-კლუბიც, რაც ძალიან კარგია და უკვე მომწონს ეს ამბავი. ყველაფერი შემოდის და ყველაფერს ვყიდულობთ საზღვარგარეთიდან. რომ ყველაფერი ჩაიკეტოს უკვე აღარ გვაქვს იმის საშუალება, რომ შიგნით გამოვკვებოთ საკუთრი თავი.“ (ქალი, 18 წლის, ქალაქი ჩხოროწყუ, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი)*

*„კარგი იქნებოდა, რომ სტარტაპებს დახმარებოდა ფართით, მისცეს საშუალება, რომ თავიდან დასაწყისისთვის ინტერესი ქონდეთ, დასაქმების თვალსაზრისით და დარჩნენ აქ.“ (კაცი, 23 წლის, ქალაქი ჩხოროწყუ, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი)*

*„ვითხოვდით, რომ კალათბურთის სტადიონზე განათებები დაეყენებინათ, რომ ღამე თამაშის საშუალება გვექონოდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეგეც არ არის. რეალურად რესურსი იმაში მიდის, რაც არ გვჭირდება. სივრცეს რაც შეეხება კულტურის სახლია იმხელა, რესტავრაცია რომ გაუკეთდეს, თავისუფლად შეიძლება იქ სხვადასხვა ოთახში გაკეთდეს ბევრი რამ.“ (კაცი, 24 წლის, ქალაქი ჩხოროწყუ, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი)*

ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ საუბარი, როგორც მუნიციპალიტეტის მერიის, ისე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებსაც სთხოვეს.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის თქმით, ახალგაზრდების წინაშე ბევრი პრობლემა დგას და გამოყოფს რამდენიმე მათგანს - **ახალგაზრდული სივრცეების ნაკლებობა, დასაქმებასთან და მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები**. მისი განცხადებით, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებს არ აქვთ სივრცე, სადაც შეუძლიათ გაერთონ, იმსჯელონ სხვადასხვა საკითზე. გარდა ამისა, რესპონდენტი ამბობს, რომ ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, დასაქმება ჩხოროწყუშიც წარმოადგენს პრობლემას. ამასთანავე, რესპონდენტის თქმით, მაღალია მიგრაციის მაჩვენებელიც და მუნიციპალიტეტში ნაკლები რაოდენობის ახალგაზრდაა. ახალგაზრდების რაოდენობის მატება მხოლოდ ზაფხულშია. რესპონდენტის განცხადებით, ასევე პრობლემას წარმოადგენს ახალგაზრდებში ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებაც.

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის თქმით, პრობლემები ძირითადად განსხვავდება ახალგაზრდების ასაკის მიხედვით. როგორც რესპონდენტი ამბობს, 25 წლამდე ახალგაზრდებს განსხვავებული პრობლემები აქვთ, ხოლო 25 წლის ზემოთ ახალგაზრდები კი სხვა პრობლემების წინაშე დგანან.

*„ახალგაზრდებს არ აქვთ სივრცე, სადაც შეუძლიათ გაერთონ, იმსჯელონ. პატარა-პატარა ლოკალური წერტილებივით არის, მაგრამ ეს საკმარისი არ არის ახალგაზრდებისთვის. დასაქმება როგორც მთელს საქართველოში, ჩხოროწყუშიც სად არის. ერთ-ერთი ისეთი რაიონია ჩვენი, მცირებიუჯეტისი და დასაქმებაც რთულად არის აქ. ახალგაზრდები გადიან და ეს პრობლემაც დგას, ახალგაზრდობას ვხედავთ მასიურად ზაფხულში.“ (სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელი, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი)*

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ახალგაზრდების წინაშე მდგარ პრობლემად **ახალგაზრდული სივრცეების ნაკლებობას** ასახლებენ. გარდა ამისა, მათი განცხადებით, პრობლემას წარმოადგენს **ინფორმაციის გავრცელება** და ადრესატამდე მიტანა. ასევე, მათი თქმით, კარგი იქნებოდა, თუ მეტი საზოგადოებრივი ორგანიზაცია იფუნქციონირებს მუნიციპალიტეტში და იმუშავებს **ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებაზე** სხვადასხვა მიმართულებით.

*„ძირითადი პრობლემა თემში არის ინფორმაციის გავრცელება, 13 თემია სულ მუნიციპალიტეტში და ყველგან ცნობიერების დონე დაბალია და ბევრი რომ იყოს საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მართლაც კარგი იქნებოდა.“ (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი)*

## ახალგაზრდებისთვის შეთავაზებული პროგრამები/აქტივობები და ინფორმაციის გავრცელების მექანიზმები

კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ძირითად ნაწილს სმენია მუნიციპალიტეტში არსებული ახალგაზრდული პროგრამების შესახებ. ახალგაზრდები საუბრობენ მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ დღეებზე, რომელიც, მათი განცხადებით, ყოველწლიურად ტარდება. გარდა ამისა, რამდენიმე მონაწილემ ისაუბრა

ახალგაზრდულ საკრებულოზე და აღნიშნა, რომ იყო ჩართული. მათი თქმით, პროექტი მთელი საქართველოს მასშტაბით მიმდინარეობდა და პროექტისთვის სკოლიდან მოსწავლეები აკადემიური მოსწრების მიხედვით შეარჩიეს. პროექტის დასრულების შემდეგ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ინიციატივით შეიქმნა ახალგაზრდული მერია. ამასთანავე, ერთ-ერთმა რესპონდენტმა ისაუბრა ჩხოროწყუს კულტურის სახლის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე და დადებითად შეაფასა ისინი, თუმცა, მისი განცხადებით, ღონისძიებები არ იყო მრავალფეროვანი. რამდენიმე არასრულწლოვანმა მონაწილემ განაცხადა, რომ მონაწილეობა მიუღიათ საზაფხულო ბანაკებში, რასაც დადებითად აფასებენ.

*„ახალგაზრდული დღეები ეწყობა ხოლმე გამგეობის დაფინანსებით ზაფხულში. რამდენიმე გუნდს აკეთებენ და დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში ერთმანეთს ეჯიბრებიან, დისკოთეკებიც იმართება. ხალხის თავშეყრის ადგილია. ზაფხულში ეს ერთადერთი ადგილია ახალგაზრდებისთვის. ესეც გამგეობის მხრიდან ფინანსდება ახალგაზრდებისგან დიდი შეწუხებით.“ (კაცი, 18 წლის, ქალაქი ჩხოროწყუ, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი)*

*„სულ თავიდან იყო ახალგაზრდული საკრებულო. მთელ საქართველოში ხორციელდებოდა ეს პროექტი და მათ შორის ჩხოროწყუში. შემდეგ შეწყდა ამ პროექტის განხორციელება და ჩხოროწყუს მერიამ საკუთარი ინიციატივით შექმნა ახალგაზრდული მერია, სადაც იგივე სამუშაოები ხდებოდა რაც საკრებულოში, მხოლოდ სახელი იყო განსხვავებული. ამ პროექტის ფარგლებში ტარდებოდა ტრენინგები და ბევრი ასეთი აქტივობა. მე ჩართული ვიყავი მერიაშიც და საკრებულოშიც.“ (ქალი, 19 წლის, სოფელი სარაქონიდან, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი)*

მონაწილეების აზრით, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა განახორციელოს ისეთი აქტივობები, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების დასაქმებას და განვითარებას. ერთ-ერთი მონაწილე საუბრობს, რომ მნიშვნელოვანია მოხდეს სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა, რადგანაც რეგიონი ძირითადად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ეწევა. გარდა ამისა, ერთ-ერთი მონაწილის განცხადებით, კარგი იქნება, თუ მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში მოხალისეობრივი კულტურის განვითარებას. ამასთანავე, ერთ-ერთი მონაწილე საუბრობს, რომ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს ახალგაზრდები თავისუფალი სივრცით, სადაც მათ საშუალება მიეცემათ განავითარონ თავიანთი იდეები და ერთმანეთთან დაამყარონ კომუნიკაცია.

*„ყველაზე მეტად რაც მინდა, რომ ჩხოროწყუში ვიხილო, არის მოხალისეობრივი ინსტიტუტი. ახალგაზრდების დაჯგუფება იყოს, რომელიც გვერდში დაუდგება ვისაც უჭირს. ჩხოროწყუელობა რომ გვაქვს და მანდ წლის ჩხოროწყუელი ვლინდება, წლის მოხალისე ჩხოროწყუში გამოვლინდეს და რაღაც პრიზი გადაეცეს.“ (ქალი, 18 წლის, ქალაქი ჩხოროწყუ, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი)*



*„ჩემი აზრით, რაზეც სამუშაოა და რაზეც უნდა იაქტიუროს მერიამ ნებისმიერ მუნიციპალიტეტში, ეს არის შეუქმნას ისეთი თავისუფალი ადგილი, სივრცე ახალგაზრდებს, სადაც ისინი იმსჯელებენ თუნდაც იმ საკითხებზე, რაზეც ჩვენ ვისაუბრეთ და შემდეგ რაღაც პროექტების გაკეთება შეძლონ. ყველაფერი არ იყოს იმაზე მორგებული, მაგალითად, რას ფიქრობენ უფროსები.“ (კაცი, 18 წლის, ქალაქი ჩხოროწყუ, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი)*

*„მახსოვს მეც ვლებულობდი ახალგაზრდულ დღეებში მონაწილეობას ორგანიზატორული კუთხით. ერთი მიტოვებული ფართი იყო ქალაქის ცენტრში, არავინ არაფერში არ იყენებდა. ეს ფართი იყო ჩერნობილელ ივნიდთა კავშირის და ის 30 კვადრატული მეტრი რომ მოეცათ, სადაც ჩვენ მერე დავებდებოდით, დავწერდით პროექტებს ახალგაზრდული დღეებისთვის, მაგისთვისაც კი ბრძოლა გვიწევდა. აი ეს რესურსი, რომელსაც არავინ არ იყენებს და არავის არაფერში არ ადგება, ახალგაზრდებს მისცენ, რომ გამოიყენონ. როცა ესეთი მხარდაჭერა იქნება, ბავშვები ყველაფერს იზამენ დარწმუნებული ვარ.“ (კაცი, 23 წლის, ქალაქი ჩხოროწყუ, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი)*

კვლევის მონაწილეების დიდ ნაწილს სმენია ახალგაზრდული ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ. მონაწილეებმა დაასახელეს ათინათის, წითელი ჯვრის, მშვიდობის კორპუსის, სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის, მშვიდობისა და განვითარების აკადემიის მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ. მონაწილეების დადებითად აფასებენ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას.

*„სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან მქონდა ძალიან კარგი ურთიერთობა. ძალიან ბევრი პროექტი იყო, რომელიც ყოველთვის იყო მორგებული კლუბებზე და არამარტო კლუბებზე, მერე თვითონ ეს კლუბები განაგრძობდნენ მოსახლეობაზე ზრუნვას. მაგალითად, არსებობდა ეკო კლუბი, რომლის ერთ-ერთი წევრი მე ვიყავი და დაფინანსებაც მოვიპოვეთ. ღია წვასთან გვქონდა შეხება, გავეცანიტ ყველაფერს და შემდეგ ნაგვის ურნები და რეკონსტრუქცია მოყვა ამ ყველაფერს, მთავრობისგან რეაგირება.“ (კაცი, 18 წლის, ქალაქი ჩხოროწყუ, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი)*

*„ვფიქრობ, რომ დიდი როლი ენიჭება არასამთავრობო სექტორს, რომ განვითარდეს რაღაც სფეროები. ტენდეციებს, რომ ვაკვირდები, ნელ-ნელა შეინიშნება აქტიურობა და თუ გაიზრდება უფრო, კარგი იქნება.“ (კაცი, 19 წლის, ქალაქი ჩხოროწყუ, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი)*

რაც შეეხება ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელის მოსაზრებებს ახალგაზრდებისთვის შეთავაზებული აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ, რესპონდენტი ამბობს, რომ მუნიციპალიტეტი ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა საგანმანათლებლო და სპორტულ აქტივობას ახორციელებს. რესპონდენტის განცხადებით, ეწყობა ახალგაზრდული ბანაკები, ასევე, ზაფხულში იმართება ახალგაზრდული დღეები, იმართება ექსკურსიები წარმატებული მოსწავლეებისთვის, ხდება გამორჩეული

ახალგაზრდების დაფინანსება. რესპონდენტის თქმით, მუნიციპალიტეტი აფინანსებს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის პროექტსაც. მისი თქმით, ახალგაზრდული მიმართულებით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ათი ათასიდან ოცი ათას ლარამდე თანხას შეადგენს.

*„ძირითადად ახალგაზრდულ დღეები ტარდება ზაფხულში, ეს ყოველთვის ტარდებოდა. არის კიდევ გამორჩეული ახალგაზრდების დაფინანსებაც წელიწადში ერთხელ. ვაკეთებთ სპორტული და ახალგაზრდული კულტურული ხაზითაც. კიდევ ექსკურსიები წარმატებული ახალგაზრდებისთვის, არის კიდევ პროექტები არასამთავრობოები რომ არიან, ჩვენც ვებმარებით თანადაფინანსებით. ყოველ შემთხვევაში მგზავრობის ხარჯს ვუხდით ამ ახალგაზრდებს.“ (სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელი, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი)*

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის მიერ ახალგაზრდების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის მოგვარებას, მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის განცხადებით, ისინი ინფორმაციას სკოლებიდან, რესურს ცენტრებიდან და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან იღებენ. მისი განცხადებით, ახალგაზრდების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება სისტემატურად ხდება.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის განცხადებით, ახალგაზრდული პროგრამებისა და აქტივობების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად იყენებენ სოციალურ ქსელებს. გარდა ამისა, რესპონდენტის განცხადებით, კომუნიკაცია აქვთ სკოლის დირექტორებთან, რესურს ცენტრებთან და მათი დახმარებით ავრცელებენ ინფორმაციას.

რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შეთავაზებულ აქტივობებს, ისინი ახალგაზრდებს ძირითადად საგანმანათლებლო და ინფრასტრუქტურულ პროექტებს სთავაზობენ. ასევე, აკეთებენ გაცვლით პროექტებს ახალგაზრდებისთვის. ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენლის განცხადებით, მუშაობენ მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით. გარდა ამისა, მათი ორგანიზაციის ხელშეწყობით ფუნქციონირებს ეკო კლუბი, რომელშიც ახალგაზრდა მოხალისეები ახორციელებენ პროექტებს.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების განცხადებით, ისინი მჭიდროდ თანამშრომლობენ მუნიციპალიტეტის მერიასთან და ერთობლივ პროექტებს ახორციელებენ. რესპონდენტების განცხადებით, მათი პროექტების ნაწილი მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

*„ამ 4 წლის განმავლობაში 10-ზე მეტი პროექტი განვახორციელეთ და თითოეულ პროექტში თვითმმართველობა ჩართული იყო თანადაფინანსებით. ასევე, ჩვენი მერი დონორმა ორგანიზაციამ დააჯილდოვა საპატიო წოდებით წინა წელს ფორუმზე აქტიური მონაწილეობისათვის.“ (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი)*

არასამათავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ინფორმაციას ახალგაზრდების საჭიროებების შესახებ თავად ახალგაზრდებთან კომუნიკაციის შედეგად აგროვებენ. გარდა ამისა, მათი განცხადებით, საკუთარი გამოცდილებითაც იციან ახალგაზრდული საჭიროებების შესახებ. ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენლის განცხადებით, მოხალისეების დახმარებით ატარებენ ახალგაზრდების გამოკითხვასაც.

რესპონდენტების განცხადებით, ცდილობენ არააქტიური ახალგაზრდებიც ჩართონ თავიანთ პროგრამებში და ამას წახალისების მექანიზმებით უზრუნველყოფენ, როგორცაა ფულადი პრიზები და სერთიფიკატები.

*„ვიყენებთ სხვადასხვა ტიპის წახალისების მექანიზმებს, სერთიფიკატები, სხვადასხვა ჯილდო, ფულადი პრიზი, საჩუქრები და ამით ვცდილობთ მათ დაინტერესებას და მოზიდვას ჩვენს მხარეზე.“ (არასამათავრობო სექტორის წარმომადგენელი, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი)*

## ახალგაზრდების ჩართულობა

ახალგაზრდები აღნიშნავენ, რომ აქვთ სურვილი ჩაერთონ მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. რამდენიმე ახალგაზრდის განცხადებით, კარგი იქნება, თუ შეიქმნება ახალგაზრდული საბჭო, რომელიც იმუშავებს ახალგაზრდობის პრობლემებზე. ერთ-ერთი მონაწილის თქმით, მნიშვნელოვანია შეიქმნას მძლავრი მექანიზმი, რომელიც არ იქნება ზედაპირული და რეალურ ცვლილებებს განახორციელებს. მისი განცხადებით, მნიშვნელოვანია ჩხოროწყუს მცხოვრები და ჩხოროწყუდან მიგრირებული ახალგაზრდების ჩართულობა და მჭიდრო კომუნიკაცია სხვადასხვა საკითხის განხილვისას და პრობლემების გადაწყვეტისას. ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ ახალგაზრდების საჭიროებების შესახებ მრავალი გამოკითხვა ტარდება, თუმცა მნიშვნელოვანია შედეგების გათვალისწინება და ამის მიხედვით რეალური ცვლილებების განხორციელება.

*„ძლიერი მექანიზმი გვჭირდება. ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ ვიღაცა ისეთი ადამიანი უნდა ჩაუდგეს ამას სათავეში, რომელიც დააკავშირებს თბილისში წასულ ახალგაზრდობას და აქაურ ახალგაზრდობას. უფროსებს უფრო სიმყარე გააჩნიათ, ახალგაზრდები უფრო მოძრაობენ, დადიან. წევრი რომ გავიდეს საქმიდან, მე ამით არ უნდა დამაკლდეს. იმდენად მასობრივი და დიდი უნდა იყოს და თავისი განშტოებები უნდა ქონდეს სოფლებშიც და თავისი წარმომადგენლობა უნდა ყავდეს. ფაქტობრივად, ახალგაზრდების პატარა სახელმწიფო უნდა შეიქმნას, რომ ქონდეს სიმყარე, მდგრადობა და ერთი-ორი ადამიანის მოკლებით არ ჩაიშალოს შემდეგი გეგმები და საერთო საქმეები. ეს მოხდება სწორი გეგმიური განაწილებით და სწორი ადამიანების ჩართვით.“ (ქალი, 18 წლის, ქალაქი ჩხოროწყუ, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი)*

*„ძალიან ბევრი გამოკითხვა ყოფილა ამის შესახებ, მაგრამ მთავარი თემა ის არის, რომ თუ შენ ახალგაზრდობას არ მისცემ იმის შანსს, რომ მისი აზრი გადააკეთოს რამე საქმიანობაში და პრაქტიკაში გადაიტანოს, მარტო თეორიით რომ არ ისარგებლოს.“*

*ამისთვის საჭიროა, ჩემი აზრით, საბჭო.“ (კაცი, 18 წლის, ქალაქი ჩხოროწყუ, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი)*

კვლევის მონაწილე ახალგაზრდები ამბობენ, რომ ისურვებდნენ მეტ კომუნიკაციას მუნიციპალიტეტთან ახალგაზრდულ საკითხებთან დაკავშირებით. რამდენიმე რესპონდენტის განცხადებით, მნიშვნელოვანია ბიუჯეტირების პროცესის გამჭვირვალობა და ასევე, უფრო მეტი თანხის გამოყოფა ახალგაზრდული მიმართულებით.

*„დამოკიდებულება, უფრო სერიოზული უნდა იყოს, უფრო დიდი წონა უნდა ჰქონდეს ახალგაზრდების ჩართულობას. ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა. თუ ვისწავლით რაღაცებს, ბევრს მივაღწევთ, ოღონდ ისევ მოტივაციას გვიკარგავენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ფორმალურად არიან.“ (ქალი, 19 წლის, სოფელი სარაქონი, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი)*

*„ახალგაზრდულ საკითხს რაც შეეხება, ეს მაინც გაიარონ ჩვენთან. მონაწილეობას იმაშიც არ ვიღებთ, თუნდაც ახალგაზრდული დღეების თანხის გამოყოფაც რომ ხდება.“ (კაცი, 24 წლის, ქალაქი ჩხოროწყუ, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი)*

*„შეხება საერთოდ არ გვაქვს მაგ თემებთან, ეს თანხაც შეიძლება სიმბოლურია, ახალგაზრდული დღეების, ჩვენ გვეუბნებიან 4000 ლარიო და ღმერთმა იცის რამდენია. იყო ესეთი შემთხვევა, მოეწონათ ერთ წელს ჩატარებული და მერი დაგვიბრდა, რომ მოდევნო წელს გაიზრდებოდა თანხა 10000 ლარამდე. მოვიდა შემდეგი წელი და რა თქმა უნდა, თანხა აღარ იყო საკმარისი, ფეხბურთელებს დაურიგეს თუ რაღაც, კლუბში გადარიცხეს, შპს სამეგრელოც ეგ კლუბი. უბრალოდ, ეგ კლუბი რომ რამეს წარმოადგენდეს, ხმას არ ამოიღებდა არავინ, მაგრამ ჭაობში ცურავს. ის ვერ მოახერხეს, რომ ახალგაზრდული დღეების დროს თემებიდან ჩამოეყვანათ ახალგაზრდები, არ აქვს ყველას მაგის საშუალება რომ, თავისი ხარჯით ჩამოვიდეს.“ (კაცი, 23 წლის, ქალაქი ჩხოროწყუ, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი)*

მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლის განცხადებით, ახალგაზრდები ნაკლებად არიან ჩართული მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. მისი თქმით, არსებობს სათათბირო მერთან და საკრებულოსთან, ასევე, მერიც არის ჩართული ახალგაზრდებთან შეხვედრებში, თუმცა ახალგაზრდების აქტიურობა მაინც ნაკლებია.

*„ჩართულები არიან, მაგრამ რომ ვითხრათ დიდი პროცენტით, ტყუილია. არიან ჩართულები, მაგრამ ისე არა, როგორც საჭიროა. ჩვენს დაგეგმილ აქტივობებშიც გვეხმარებიან, მაგრამ მაინც საკმარისად არ ხდება. მცირე ნაწილია ჩართული ნამდვილად.“ (სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელი, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი)*

რაც შეეხება არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, ისინი აცხადებენ, რომ ახალგაზრდები ჩართული არიან მათ აქტივობებში. ორგანიზაციის წარმომადგენლების

განცხადებით, ყოველწლიურად ახალგაზრდების დაინტერესება იმატებს, ასევე, იზრდება მოხალისეების რაოდენობაც.

*„ჩვენთან მოხალისეობრივი ინსტიტუტი ისე დაბალი იყო, რომ წარმოდგენილი იყო რაიმე მოხალისეობრივი საქმიანობის განხორციელება, და რაც ჩვენ დავიწყეთ საქმიანობა, ცნობიერების დონემ საგრძნობლად აიწია, ჯერ მარტო ჩვენს ორგანიზაციაში გვყავს 30 მოხალისე, რომლებიც არიან ძირითადად 17-დან 22 წლამდე ასაკის და ვფიქრობ, რომ მოხალისეობრივი საქმიანობის გააქტიურება, ჩვენს მიერ განხორციელებული აქტივობების დამსახურებაა.“ (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი)*

## დასკვნა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებების შესასწავლად თვისებრივ კვლევაში მონაწილეობა თავად ახალგაზრდებმა, მუნიციპალიტეტის მერიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა მიიღეს. ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ საუბრისას ყველა ტიპის რესპონდენტმა, როგორც ახალგაზრდებმა, ისე საჯარო და არასაჯარო სექტორის წარმომადგენლებმა ახალგაზრდული სივრცეების ნაკლებობა, დასაქმება და მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები დაასახლეს, თუმცა მონაწილეები სხვადასხვა სახის გამოწვევაზეც საუბრობენ.

თავად ახალგაზრდების განცხადებით, მუნიციპალიტეტში არ აქვთ მრავალფეროვანი სპორტული და გასართობი სივრცეები. ახალგაზრდების თქმით, ახალგაზრდული სივრცეების ნაკლებობა განსაკუთრებით პრობლემურია სოფლებში. ასევე, აღნიშნული პრობლემა დიდი ხანია არსებობს. ახალგაზრდების თქმით, მუნიციპალიტეტში არ არსებობს კინოთეატრი. გარდა ამისა, კულტურის სახლში არსებული წრეებით, საჯარო ბიბლიოთეკით და თეატრით სარგებლობა კი ინფრასტრუქტურულ და სხვა ტიპის პრობლემებთან არის დაკავშირებული. ახალგაზრდები საუბრობენ, რომ კულტურის სახლში ინფრასტრუქტურის გაუმართაობის გამო ზამთარში ზოგიერთი წრის ფუნქციონირება არ ხდება. გარდა ამისა, მათი თქმით, პრობლემა საჯარო ბიბლიოთეკით სარგებლობაც, სადაც არ არის შესაბამისი პირობები, რომ მსურველმა სამკითხველო დარბაზით ისარგებლოს, ამასთანავე ბიბლიოთეკაში არ ხდება წიგნების განახლება. ახალგაზრდები საუბრობენ, რომ მუნიციპალიტეტში არ არის წიგნის მაღაზია. შესაძლებელია წიგნის გამოწერა, თუმცა წიგნის ადგილზე მიტანას რამდენიმე კვირა ან ერთი თვე სჭირდება. რაც შეეხება თეატრს, ახალგაზრდები ამბობენ, რომ ბილეთის ფასი მაღალია, ასევე, ინფრასტრუქტურა გაუმართავია და ზამთარში არ არის გათბობა.

ახალგაზრდები საუბრობენ განათლებასთან დაკავშირებულ პრობლემებზეც. მათი განცხადებით, პრობლემურია სასკოლო წიგნებზე ხელმისაწვდომობა. არის შემთხვევები, როდესაც ერთი სასწავლო წიგნით რამდენიმე მოსწავლე და მასწავლებელი სარგებლობს. მოსწავლეები საუბრობენ ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებულ გამოწვევებზეც და ამბობენ, რომ ზოგ მოსწავლეს არ აქვს შესაბამისი ტექნიკა და ინტერნეტი, რომ ონლაინ

სწავლების პროცესში ჩაერთოს. ამასთანავე, ინტერნეტის ხარისხიც არ არის მაღალი. გარდა ამისა, ახალგაზრდების განცხადებით, გაუმართავია სასკოლო ინფრასტრუქტურაც.

კვლევის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმართაობასა და სპორტული წრეების ნაკლებობაზე. მათი თქმით, მუნიციპალიტეტში არ არის საცურაო აუზი და ფიტნეს დარბაზი. გარდა ამისა, ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით, ინფრასტრუქტურის გაუმართაობის გამო ზამთარში არ ტარდება სპორტული ღონისძიებები.

ახალგაზრდები საუბრობენ ტრანსპორტის პრობლემაზეც, განსაკუთრებით სოფლებში ზამთრის პერიოდში. რამდენიმე არასრულწლოვანი რესპონდენტის განცხადებით, სკოლაში შორ მანძილზე ფეხით უწევთ სიარული, რაც განსაკუთრებით რთულია ზამთრის პერიოდში. რესპონდენტების ნაწილი კი აცხადებს, რომ ტრანსპორტი, რომელიც სკოლებს ემსახურება, გაუმართავია და არის შემთხვევები, როდესაც ამის გამო მოსწავლეები სკოლაში დაგვიანებით მიდიან.

კვლევის მონაწილეები დასაქმების პრობლემას ერთ-ერთ ძირითად პრობლემად გამოყოფენ. ახალგაზრდების თქმით, პრობლემას წარმოადგენს იმ ახალგაზრდების დიდი რაოდენობა, რომელიც არანაირი საქმიანობით არ არის დაკავებული. არასრულწლოვანი რესპონდენტების განცხადებით, აქვთ სურვილი ზაფხულში სეზონურად დასაქმდნენ, თუმცა მუნიციპალიტეტში მათ ამის შესაძლებლობა არ აქვთ.

რესპონდენტების განცხადებით, ერთ-ერთი პრობლემური საკითხია ახალგაზრდების მიგრაცია, რაც განპირობებულია იმით, რომ ახალგაზრდებს მუნიციპალიტეტში არ ეძლევათ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა ისაუბრეს, თუ როგორ შეიძლება მათ მიერ დასახელებული პრობლემების გადაჭრა. მონაწილეები თანხმდებიან, რომ თავად მუნიციპალიტეტის მხარდაჭერის გარეშე პრობლემები ვერ მოგვარდება. რესპონდენტთა განცხადებით, პრობლემები უნდა გადაიჭრას ურთიერთთანამშრომლობით და ახალგაზრდების ჩართულობით. ახალგაზრდების განცხადებით, მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს ახალგაზრდების დაინტერესება და ჩართულობის უზრუნველყოფა. მათი თქმით, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ინტერესს და პრიორიტეტს წარმოადგენდეს ახალგაზრდების პრობლემების მოგვარება.

ახალგაზრდებმა ისაუბრეს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული სივრცის პრობლემის გადაჭრის გზებზეც. მათი განცხადებით, კარგი იქნება, თუ მუნიციპალიტეტში არსებული კულტურის სახლის რესტავრაცია მოხდება და სივრცე ახალგაზრდებს სხვადასხვა საჭიროებისთვის დაეთმობა.

ახალგაზრდების წინაშე მდგარ გამოწვევებზე როგორც მუნიციპალიტეტის მერიის, ისე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმაც ისაუბრეს. მათი თქმით, ახალგაზრდების წინაშე ბევრი პრობლემა დგას, მათ შორის, ახალგაზრდული სივრცეების ნაკლებობა, დასაქმებასთან და მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები, ახალგაზრდებში

ცნობიერების ამაღლებასა და ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებული პრობლემები და ახალგაზრდებში ნარკოტიკული საშუალების მოხმარება.

კვლევის მონაწილეებს სთხოვეს, შეეფასებინათ ის პროგრამები, რომელსაც მუნიციპალიტეტი და არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ. მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული ახალგაზრდული პროგრამების შესახებ საუბრისას, კვლევაში მონაწილე ახალგაზრდებმა დაასახელეს „ახალგაზრდული დღეები“. ამასთანავე, რამდენიმე არასრულწლოვანმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მონაწილეობა მიუღია საზაფხულო ახალგაზრდულ ბანაკში. გარდა ამისა, რამდენიმე მონაწილემ ისაუბრა ახალგაზრდულ საკრებულოსა და ახალგაზრდულ მერიაზე.

მონაწილეების აზრით, მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტმა განახორციელოს ისეთი აქტივობები, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების დასაქმებას და განვითარებას. ახალგაზრდების აზრით, მნიშვნელოვანია, მოხდეს სოფლის მეურნეობის პოპულარიზაცია და ამ სფეროში დასაქმებული ადამიანების დახმარება. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ კარგი იქნება მუნიციპალიტეტმა წახალისოს სტარტაპები, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების დასაქმებას და მიგრაციის პრობლემის მოგვარებას.

რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ პროექტებს, ახალგაზრდების ძირითად ნაწილს სმენია ახალგაზრდული ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ და დადებითად აფასებენ აღნიშნულ აქტივობებს.

რაც შეეხება ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის მოსაზრებებს ახალგაზრდებისთვის შეთავაზებული აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ, რესპონდენტი ამბობს, რომ მუნიციპალიტეტი ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა საგანმანათლებლო და სპორტულ აქტივობას ახორციელებს. რესპონდენტის განცხადებით, ეწყობა ახალგაზრდული ბანაკები, ასევე, ზაფხულში იმართება ახალგაზრდული დღეები, იმართება ექსკურსიები წარმატებული მოსწავლეებისთვის, ხდება გამორჩეული ახალგაზრდების დაფინანსება. რესპონდენტის თქმით, მუნიციპალიტეტი აფინანსებს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის პროექტსაც.

არასამთავრობო ორგანიზაციები ახალგაზრდებს ძირითადად საგანმანათლებლო და ინფრასტრუქტურულ პროექტებს სთავაზობენ. ასევე, აკეთებენ გაცვლით პროექტებს ახალგაზრდებისთვის. ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენლის განცხადებით, მუშაობენ მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით. გარდა ამისა, მათი ორგანიზაციის ხელშეწყობით ფუნქციონირებს ეკო კლუბი, რომელშიც ახალგაზრდა მოხალისეები ახორციელებენ პროექტებს. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების განცხადებით, ისინი მჭიდროდ თანამშრომლობენ მუნიციპალიტეტის მერიასთან და ერთობლივ პროექტებს ახორციელებენ. რესპონდენტების განცხადებით, მათი პროექტების ნაწილი მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

კვლევისთვის საინტერესო იყო ისიც, თუ როგორ ხდება ახალგაზრდების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება. მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის

განცხადებით, ისინი ინფორმაციას სკოლებიდან, რესურს ცენტრებიდან და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან იღებენ. მისი განცხადებით, ახალგაზრდების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება სისტემატურად ხდება. რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს, ისინი ინფორმაციას ახალგაზრდების საჭიროებების შესახებ თავად ახალგაზრდებთან კომუნიკაციის შედეგად აგროვებენ. გარდა ამისა, მათი განცხადებით, საკუთარი გამოცდილებითაც იციან ახალგაზრდული საჭიროებების შესახებ. ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენლის განცხადებით, მოხალისეების დახმარებით ატარებენ ახალგაზრდების გამოკითხვასაც.

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის თქმით, ახალგაზრდული პროგრამებისა და აქტივობების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად იყენებენ სოციალურ ქსელებს. გარდა ამისა, რესპონდენტის განმარტებით, კომუნიკაცია აქვთ სკოლის დირექტორებთან, რესურს ცენტრებთან და მათი დახმარებით ავრცელებენ ინფორმაციას.

კვლევა ასევე სწავლობდა ახალგაზრდების ჩართულობას მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი ამბობს, რომ აქვთ სურვილი ჩაერთონ მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. რამდენიმე ახალგაზრდის განცხადებით, კარგი იქნება, თუ შეიქმნება ახალგაზრდული საბჭო, რომელიც იმუშავებს ახალგაზრდობის პრობლემებზე. ერთ-ერთი მონაწილის თქმით, მნიშვნელოვანია, შეიქმნას მძლავრი მექანიზმი, რომელიც არ იქნება ზედაპირული და რეალურ ცვლილებებს განახორციელებს. მისი განმარტებით, მნიშვნელოვანია, ჩხოროწყუში მცხოვრები და ჩხოროწყუდან მიგრირებული ახალგაზრდების ჩართულობა და მჭიდრო კომუნიკაცია სხვადასხვა საკითხის განხილვისას და პრობლემების გადაწყვეტისას. ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ ახალგაზრდების საჭიროებების შესახებ მრავალი გამოკითხვა ტარდება, თუმცა მნიშვნელოვანია შედეგების გათვალისწინება და ამის მიხედვით რეალური ცვლილებების განხორციელება.

კვლევის მონაწილე ახალგაზრდები ამბობენ, რომ ისურვებდნენ მეტ კომუნიკაციას მუნიციპალიტეტთან ახალგაზრდულ საკითხებთან დაკავშირებით. რამდენიმე რესპონდენტის განცხადებით, მნიშვნელოვანია ბიუჯეტირების პროცესის გამჭვირვალობა და ასევე, უფრო მეტი თანხის გამოყოფა ახალგაზრდული საკითხების მიმართულებით.

მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლის განცხადებით, ახალგაზრდები ნაკლებად არიან ჩართული მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. მისი თქმით, არსებობს სათათბირო მერთან და საკრებულოსთან, ასევე, მერიც არის ჩართული ახალგაზრდებთან შეხვედრებში, თუმცა ახალგაზრდების აქტიურობა მაინც ნაკლებია.

რაც შეეხება არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, ისინი აცხადებენ, რომ ახალგაზრდები ჩართული არიან მათ აქტივობებში. ორგანიზაციების წარმომადგენლების განცხადებით, ახალგაზრდების დაინტერესება მატულობს, ასევე, იზრდება ორგანიზაციებში მოხალისეების რაოდენობაც.



## რაოდენობრივი კვლევის შედეგები

### ახალგაზრდების დემოგრაფიული მახასიათებლები

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მასშტაბით კვლევაში მონაწილეობა 169 ახალგაზრდამ მიიღო, რომელთა ასაკი 14-დან 26 წლამდე მერყეობს. მათგან 55 ახალგაზრდა (33%) 14-17 წლის ასაკობრივ ჯგუფში ექცევა, 53 ახალგაზრდა (31%) - 18-22 წლის ასაკობრივ კატეგორიაში, ხოლო 23-25 წლის ასაკობრივ ჯგუფში 61 ახალგაზრდაა (36%) (იხ. დანართი, ცხრილი 1). გამოკითხული ახალგაზრდების 59% მდედრობითი სქესის, ხოლო 41% მამრობითი სქესის წარმომადგენელია (იხ. დანართი, ცხრილი 2). მათი 53% ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფლებში ცხოვრობს, 47% კი - ქალაქ ჩხოროწყუში (იხ. დანართი, ცხრილი 3).


ჩხოროწყუში გამოკითხული ახალგაზრდების 33% სკოლის მოსწავლეა, 7%-ს სრული საშუალო განათლება აქვს მიღებული, 8%-ს - სრული პროფესიული განათლება, 22%-ს - არასრული უმაღლესი განათლება, ასევე 22%-ს - სრული უმაღლესი განათლება (სპეციალისტის, ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხი) (იხ. დანართი, ცხრილი 46).

გამოკითხული ზრდასრული ახალგაზრდების უმრავლესობა არ არის დაქორწინებული (62%) და არ ჰყავს შვილი (82%). რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (95%) თავს ეთნიკურ ქართველად მიიჩნევს (იხ. დანართი, ცხრილი 47, 48 და 49).

რესპონდენტთა ოჯახების ყოველთვიური შემოსავალი შემდეგნაირად გადანაწილდა - მონაწილეთა 11% ამბობს, რომ არ იცის, რამდენი აქვს მის ოჯახს შემოსავალი, 13% ამბობს, რომ ოჯახის შემოსავალი თვეში 300 ლარს არ აღემატება, 14%-ის განცხადებით, თვეში საშუალოდ 301-500 ლარამდე შემოსავალი აქვთ, 21%-ის თქმით, კი - 501-900 ლარი. რესპონდენტთა 24% ამბობს, რომ ოჯახის შემოსავალი თვეში 901-1500 ლარის ფარგლებშია, ხოლო 17% ამბობს, რომ ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი 1500 ლარს აღემატება. ოჯახის შემოსავლის ძირითად წყაროდ ყველაზე ხშირად ხელფასი (48%), საზღვარგარეთ მცხოვრები ნათესავებისგან მიღებული ფინანსური დახმარება (31%), სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვა (29%) და ოჯახის პენსია (27%) სახელდება. სხვა ტიპი წყარო კი უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დიაგრამა 1).

### დიაგრამა 1

## თქვენი ოჯახის შემოსავლის ძირითადი წყარო (%)



**შენიშვნა:** რესპონდენტებს რამდენიმე ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.


## სამოქალაქო აქტიურობა

კვლევაში მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო ახალგაზრდების სამოქალაქო აქტიურობის საკითხს. შეკითხვაზე, თუ რა სახის სამოქალაქო აქტიურობაში ჩაერთვნენ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, მონაწილეები ყველაზე ხშირად საზოგადოებრივი სივრცის დასუფთავებაში მონაწილეობას (სადარბაზო, ქუჩა, სკოლა, ეკლესიის ეზო და მსგავსი ადგილები) (26%), მოხალისეობრივ აქტივობებში ჩართულობას (21%) და სოციალურ ქსელებსა და ფორუმებში სხვადასხვა საკითხის განხილვაში მონაწილეობას (20%) ასახელებენ. სხვა პასუხები კი კიდევ უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დიაგრამა 2). საინტერესოა, რომ საზოგადოებრივი სივრცის დასუფთავების აქტივობებში მონაწილეობას უფრო ხშირად 14-17 წლის რესპონდენტები იღებენ, ვიდრე სხვა ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენლები, ხოლო საპროტესტო დემონსტრაციებში კი უფრო ხშირად სრულწლოვანი მონაწილეები მონაწილეობენ, ვიდრე 14-17 წლის ახალგაზრდები (იხ. დანართი, ცხრილი #). ასაკობრივ კატეგორიებს შორის ეს სხვაობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია<sup>2</sup>.

<sup>2</sup> Fisher's exact = 0.002; 0.003;

დიაგრამა 2

სამოქალაქო აქტიურობა ბოლო ერთი წლის განმავლობაში (%)  
შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



**შენიშვნა:** რესპონდენტებს რამდენიმე ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

კითხვაზე, მიიღეთ თუ არა მონაწილეობა ბოლო არჩევნებში, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახლგაზრდების უმრავლესობა (85%), რომელიც არჩევნების დრო სრულწლოვანი იყო (60%), ამბობს, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო (იხ. დანართი, ცხრილი 6).

ზოგადად, გამოკითხულთა 38% ფიქრობს, რომ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში ახალგაზრდების ინტერესები გათვალისწინებული არ არის (საერთოდ არ არის გათვალისწინებული 8%, უფრო არ არის გათვალისწინებული, ვიდრე - კი 30%). 5%-მა არ იცის, ხოლო 2% უარს ამბობს, უპასუხოს შეკითხვას. ახალგაზრდების ნახევარზე მეტი 54% ფიქრობს, რომ მათი ინტერესები გათვალისწინებულია (სრულად არის გათვალისწინებული 23%, უფრო გათვალისწინებულია, ვიდრე - არა 31%) (იხ. დანართი, ცხრილი 7). ახალგაზრდების უმრავლესობა (74%) ეთანხმება მოსაზრებას, რომ მუნიციპალიტეტში მათნაირ ადამიანებს შეუძლიათ გავლენა იქონიონ ადგილობრივ

დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, ხოლო 20% არ იზიარებს აღნიშნულ მოსაზრებას (იხ. დანართი, ცხრილი 8).

კვლევის ფარგლებში მონაწილეებს სთხოვეს დაესახლებინათ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების წინაშე მდგარი ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა. გამოკითხულთა უმრავლესობა (57%) მთავარი პრობლემად დასაქმების საკითხს მიიჩნევს. ასევე ხშირად დასახელდა შემდეგი პასუხები: თავისუფალი დროის ხარისხიანად გატარების შესაძლებლობის ნაკლებობა (დასვენება/გართობა) (50%), ტექნოლოგიებთან წვდომა (36%), ვარჯიში, სპორტულ აქტივობაში ჩართვის შესაძლებლობა (33%), პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა (30%), უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობა (28%), ოჯახის წევრების მიგრაცია საზღვარგარეთ (21%) და ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა (21%). სხვა პასუხები კი უფრო იშვიათად დასახელდა.

საინტერესოა, რომ დასაქმებას და პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობას პრობლემად უფრო მეტი 18-22 წლის ახალგაზრდა მიიჩნევს, ვიდრე სხვა ასაკობრივი კატეგორიის ახალგაზრდები. გარდა ამისა, საბაზისო საჭიროებებზე ხელმისაწვდომობას უფრო მეტი 23-25 წლის ახალგაზრდა მიიჩნევს პრობლემად, ვიდრე სხვა ასაკობრივი კატეგორიები (იხ. დიაგრამა 3), ამ მხრივ ასაკობრივ კატეგორიებს შორის არსებული სხვაობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია<sup>3</sup>. ასევე, საინტერესოა, რომ სპორტულ აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობას პრობლემად უფრო ხშირად სოფლის ტიპის დასახლებაში სახელდება, ვიდრე ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდების მიერ, ამ მხრივ ქალაქსა და სოფლის მცხოვრებლებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებაა<sup>4</sup>. გარდა ასაკობრივი კატეგორიისა და დასახლების ტიპისა, განსხვავებები დაფიქსირდა სქესის მიხედვით გაანალიზებულ მონაცემებშიც. საინტერესოა, რომ უფრო მეტი მდედრობითი სქესის რესპონდენტი ამბობს, რომ საბაზისო საჭიროებებზე ხელმისაწვდომობა, დასვენება და ოჯახის წევრების საზღვარგარეთ მიგრაცია პრობლემური საკითხებია, ვიდრე მამრობითი სქესის წარმომადგენელი რესპონდენტები. სქესის მიხედვით არსებული ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია<sup>5</sup>.

### დიაგრამა 3


<sup>3</sup> Fisher's exact =0.000; 0.037; 0.015

<sup>4</sup> Fisher's exact=0.042

<sup>5</sup> Fisher's exact= 0.028; 0.001; 0.019

## მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის წინაშე მდგარი ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



**შენიშვნა:** რესპონდენტებს რამდენიმე ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

### მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პროგრამები და სერვისები


კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული პროგრამებისა და სერვისების შესახებ ინფორმირებულობისა და ამ პროგრამებსა და სერვისებში ახალგაზრდების ჩართულობის საკითხებს. როგორც ჩანს, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდები ინფორმაციას მუნიციპალიტეტში

მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ძირითადად სოციალური ქსელების საშუალებით (67%) იღებენ. ინფორმაციის მიღების წყაროდ დასახელდა ასევე ახლობლები/მეგობრები/ნათესავები (50%) და ტელევიზია (25%). სხვა სახის პასუხები კი უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დანართი, ცხრილი 9\_1 – 9\_9).

გამოკითხული ახალგაზრდების მხოლოდ 34% ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ერთხელ მაინც იყო ჩართული მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აქედან, მხოლოდ 8% ამბობს, რომ ინტენსიურად იყო ჩართული აღნიშნულ პროცესებში, 19%-ის განცხადებით, რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, 9%-ის თქმით, კი მხოლოდ ერთხელ მიიღო მონაწილეობა. მონაწილეობა საერთოდ არ მიუღია გამოკითხულთა უმრავლესობას - 65%-ს (იხ. დიაგრამა 4). რაც შეეხება მიზეზს, თუ რატომ ვერ ჩაერთნენ გასული 12 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გამოკითხული ახალგაზრდების 18% ამბობს, რომ არ ჰქონდა ინფორმაცია, ხოლო 15%-ის განცხადებით, არავის მიუწვევია. სხვა სახის მიზეზები კი უფრო იშვიათად დასახელდა, კონკრეტულ მიზეზს არ ასახელებს 20% და ამბობს, რომ უბრალოდ არ მიიღო მონაწილეობა. (იხ. დანართი, ცხრილი 10).

**დიაგრამა 4**

**ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობა ბოლო 12 თვის მანძილზე (%)**



რაც შეეხება ახალგაზრდულ პროგრამებში ახალგაზრდების ჩართულობას, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობას (60%) ერთხელ მაინც მიუღია მონაწილეობა მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ პროგრამებში. 9%-ს არ მიუღია მონაწილეობა, თუმცა სმენია პროგრამის შესახებ, ხოლო 17%-ს არ მიუღია მონაწილეობა და არც სმენია მსგავსი პროგრამის შესახებ. (იხ. დანართი, ცხრილი 12). კვლევისთვის ასევე საინტერესო იყო, მიუძღვრათ თუ არა ახალგაზრდებს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტისთვის რაიმე პროექტის ან/და ინიციატივის განხორციელების მიზნით. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა ნახევარს (50%) მიუძღვრათ მსგავსი იდეით მუნიციპალიტეტისთვის, ხოლო 47%-ს - არა (იხ. დანართი, ცხრილი 14). მათ, ვისაც მიუძღვრათ მუნიციპალიტეტისთვის რაიმე სახის ინიციატივის/პროექტის განსახორციელებლად, ყველაზე ხშირად პროექტის/აქტივობის დაფინანსებისთვის (60%) და ფიზიკური სივრცის გამოყოფისთვის (52%) მიუძღვრათ, ასევე ხშირად დასახელდა ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის (44%) და ტექნიკური მხარდაჭერისთვის (პროექტორი, ლეპტოპი და ა.შ.) (40%) მიმართვა. სხვა სახის პასუხები კი იშვიათად დასახელდა (იხ. დანართი, ცხრილი 15). მონაწილეთა 73% ამბობს, რომ კმაყოფილია მიღებული დახმარებით (ძალიან კმაყოფილი - 44%, უფრო კმაყოფილი, ვიდრე უკმაყოფილო - 29%), ხოლო 20% ამბობს, რომ უკმაყოფილოა (ძალიან უკმაყოფილო - 1%, უფრო უკმაყოფილო, ვიდრე კმაყოფილი - 19%), 2%-ი კი ვერ აფასებს რამდენად კმაყოფილი ან უკმაყოფილოა გაწეული დახმარებით და პასუხობს, რომ არ იცის (იხ. დანართი, ცხრილი 16).


კვლევის ფარგლებში მონაწილეებს ასევე ეკითხებოდნენ, უსარგებლიათ თუ არა შემდეგი სახის სერვისებით: არაფორმალურ საგანმანათლებლო პროგრამები (ტრენინგ კურსები, სემინარები, ვორქშოპები და სხვა), მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული და სპორტული წრეები, საბანაკე პროგრამები, საინფორმაციო და საკონსულტაციო სერვისები. მონაწილეების დაახლოებით მესამედი (28%) ამბობს, რომ არცერთი ჩამოთვლილი პროგრამით არ უსარგებლია. დანარჩენ მონაწილეებს კი ყველაზე ხშირად სხვადასხვა კულტურული და სპორტული წრეებით (38%) და არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამებით უსარგებლია (30%). სხვა სერვისებით სარგებლობა კი შედარებით იშვიათად დასახელდა: საინფორმაციო და საკონსულტაციო სერვისების გამოყენება (20%), საბანაკე პროგრამებით სარგებლობა (16%) (იხ. დანართი, ცხრილი 17\_1 – 17\_4). აღნიშნული სერვისებით არსარგებლობის მიზეზად კი ყველაზე ხშირად ინფორმაციის არქონა (40%), პანდემია (21%) და სურვილის არქონა (17%) დასახელდა. ახალგაზრდების 13% კი აცხადებს, რომ სერვისი არ პასუხობდა მის საჭიროებებს (იხ. დანართი, ცხრილი 18\_1 – 18\_13).

### საგანმანათლებლო და საინფორმაციო ტექნოლოგიებთან წვდომა

კვლევა ასევე სწავლობდა, ახალგაზრდების წვდომას საინფორმაციო ტექნოლოგიებზე. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა ამბობს, რომ წვდომა კომპიუტერთან (91%) და ინტერნეტთან (100%) აქვს (იხ. დიაგრამა 5). უფრო კონკრეტულად კი, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (57%) ამბობს, რომ კომპიუტერთან წვდომა მხოლოდ სახლში აქვს, 16%-ს - სახლშიც და სახლს გარეთაც, 18% ამბობს, რომ მხოლოდ სახლს გარეთ აქვს კომპიუტერთან წვდომა, ხოლო 8%-ს საერთოდ არ

აქვს კომპიუტერთან წვდომა. რაც შეეხება ინტერნეტზე წვდომას, რესპონდენტთა 49%-ს ინტერნეტზე წვდომა მობილურის საშუალებით აქვს, სახლში ინტერნეტ პროვაიდერის საშუალებით 45%-ს, ხოლო 25%-ს ინტერნატთან წვდომა სახლს გარეთ აქვს. რესპონდენტთა უმრავლესობა (58%) მიიჩნევს, რომ ინტერნეტი, რომელთანაც წვდომა აქვთ ხარისხიანია, აქედან 37% ფიქრობს, რომ ხარისხიანია, თუმცა ძვირია, ხოლო 21%-ის განცხადებით, ხარისხიანი და იაფია. გამოკითხულთა 39% ამბობს, რომ ინტერნეტი, რომელზეც წვდომა აქვთ უხარისხოა. აქედან, 25%-ის აზრით, უხარისხო და ძვირია, ხოლო 14%-ის შეფასებით, უხარისხო, მაგრამ იაფია (იხ. დანართი, ცხრილი 21).

## დიაგრამა 5



კითხვაზე, თუ ძირითადად, რა მიზნით იყენებენ საინფორმაციო ტექნოლოგიებს, რესპონდენტებმა ყველაზე ხშირად მათივე ინიციატივით სასწავლო მიზნით გამოყენება (73%), გართობა (60%), ინფორმაციის მიღება (58%) და სოციალური ქსელების გამოყენების მიზნით სარგებლობა (58%) დაასახელეს.

## დასაქმება და მასთან დაკავშირებული საკითხები


კვლევის ინტერესის საგანს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების დასაქმების საკითხებიც წარმოადგენდა. მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობას (67%) მიაჩნია, რომ ახალგაზრდისთვის მუნიციპალიტეტში დასაქმება რთულია (ძალიან რთულია 35%, უფრო რთულია, ვიდრე მარტივი 32%). გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 14-17 წლის ახალგაზრდების 1% ამბობს, დასაქმებულია, ასევე 4% ეძებს სამუშაოს, ხოლო 60% არაა დასაქმებული და ამ ეტაპზე სამუშაოს არ ეძებს, 5% აცხადებს, რომ არ არის დასაქმებული, თუმცა ეძებს სამსახურს, 31%-მა კითხვაზე პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა. რაც შეეხება სრულწლოვან გამოკითხულ ახალგაზრდებს, მეოთხედი (25%) ამბობს, რომ დასაქმებულია, უფრო დეტალურად კი, 18-დან 23 წლამდე ახალგაზრდების 15% ამბობს, რომ დასაქმებულია, 43% ეძებს სამსახურს, 36% კი არაა დასაქმებული და ამ ეტაპზე დასაქმებას არ ცდილობს. 23-25 წლის გამოკითხული ახალგაზრდების დაახლოებით მესამედი (33%) ამბობს, რომ



დასაქმებულია, 44% სამსახურს ეძებს, ხოლო 18% არ არის დასაქმებული, თუმცა სამსახურს არ ეძებს (იხ. დიაგრამა 6). დასაქმებულ რესპონდენტთა (18%) ნახევარზე მეტი (60%) ამბობს, რომ მათ სამუშაო ადგილზე ღირსეული და უსაფრთხო შრომის პირობები დაცულია, 30%-ის აზრით, მეტ-ნაკლებად დაცულია, ხოლო 10%-ს მიაჩნია, რომ მათ სამუშაო ადგილზე ღირსეული და უსაფრთხო შრომის პირობები დაცული არ არის. (იხ. დანართი, ცხრილი 29).

## დიაგრამა 6

ხართ თუ არა დასაქმებული? (%)  
შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით




**შენიშვნა:** რადგანაც გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლები დამრგვალებული ციფრია, შესაძლებელია, ყველგან 100%-ად არ დაჯამდეს.

რაც შეეხება იმ ახალგაზრდებს, რომლებიც არ არიან დასაქმებული და ეძებენ სამსახურს (31%), მათი ძირითადი ნაწილი (55%) სამსახურს 1-12 თვეა რაც სამსახურს ეძებს (23% - 1-6 თვემდე, 32% 6-12 თვემდე), 6% სამსახურს ერთი თვეზე ნაკლებია რაც ეძებს, რაც სამსახურს ეძებს, ხოლო 36% კი ერთ წელზე მეტია, რაც სამსახურის პოვნას ცდილობს (იხ. დანართი, ცხრილი 25). ახალგაზრდები, რომლებიც სამსახურს ეძებენ, ფიქრობენ, რომ მათი უმუშევრობის მიზეზები კოვიდ 19-ის პანდემია (45%), დასაქმების სერვისების არარსებობა (34%) და ზოგადად სამუშაო ადგილების ნაკლებობაა (32%). ასევე მიზეზად ხშირად დაასახელეს უცხო ენების არცოდნა (25%) და ტექნიკური უნარ-ჩვევების არქონა (23%). სხვა სახის პასუხები კი უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დანართი, ცხრილი 26\_1-26\_13). კითხვაზე, თუ რა დაეხმარებოდათ დასაქმებაში, ყველაზე ხშირად რესპონდენტებმა სტაჟირების შესაძლებლობა (49%), პროფესიული ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება (43%) და დასაქმების სერვისებზე ხელმისაწვდომობა (38%) დასახელდა (იხ. დიაგრამა 7).

## დიაგრამა 7

რა ტიპის დახმარებას ისურვებდით დასაქმების ხელშეწყობის მიზნით? (%)



**შენიშვნა:** კითხვა დაესვა მას, ვინც თქვა, რომ არ არის დასაქმებული და ეძებს სამსახურს - 31%. რესპონდენტებს პასუხის სამი ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

ზოგადად, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა მზობს, რომ დასაქმების მთავარი წინაპირობა ცოდნა/განათლება (68%) და სამუშაო გამოცდილების ქონაა (43%). ასევე, ხშირად დასახელდა მეტი სამუშაო ადგილების არსებობა (39%) და მონდომება/მოტივაცია (33%). სხვა პასუხები კი შედარებით იშვიათად დაასახელეს (იხ. დანართი, ცხრილი 28).

გართობისა და დასვენების შესაძლებლობები


კვლევისთვის საინტერესო იყო იმის გარკვევა, თუ რამდენად კმაყოფილია ახალგაზრდები მუნიციპალიტეტში არსებული გართობა-დასვენების შესაძლებლობით, გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე მეტი (53%) პასუხობს, რომ უკმაყოფილო ან ძალიან უკმაყოფილოა. კმაყოფილებას (კმაყოფილი ან სრულიად კმაყოფილი) რესპონდენტთა 41% გამოთქვამს (იხ. დანართი, ცხრილი 30\_1). რაც შეეხება მუნიციპალიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობებს, უკმაყოფილებას გამოკითხული ახალგაზრდების 47% გამოთქვამს, კმაყოფილებას კი - 41%. (იხ. დანართი, ცხრილი 30\_2).

კითხვაზე, თუ დამატებით რა შესაძლებლობების არსებობას ისურვებდნენ მათ მუნიციპალიტეტში გართობა-დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში გამოკითხულ ახალგაზრდებს ყველაზე ხშირად ახალგაზრდული ცენტრის (48%), კინოთეატრის (43%), ატრაქციონების პარკის (41%),

ლიტერატურული კაფის (27%) და საცურო აუზის (27%) ფუნქციონირება სურთ. სხვა სახის სასურველი დამატებითი შესაძლებლობები კი შედარებით იშვიათად სახელდება (იხ. დიაგრამა 7). აღსანიშნავია, რომ ასაკობრივ ჯგუფებს შორის სხვაობა ბიბლიოთეკასთან და ახალგაზრდულ ბანაკებთან დაკავშირებით შეიმჩნევა. ბიბლიოთეკის და ახალგაზრდული ბანაკების ფუნქციონირება უფრო ხშირად 14-17 წლის რესპონდენტებისთვისაა სასურველი, ვიდრე სრულწლოვანი რესპონდენტებისთვის<sup>6</sup>. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ განსხვავება რესპონდენტთა დასახლების ტიპის მიხედვითაც აღმოჩნდა, სკვერის/ბაღის არსებობის სურვილს უფრო ხშირად სოფლად მცხოვრები ახალგაზრდები აფიქსირებენ, ვიდრე ქალაქში მცხოვრები რესპონდენტები<sup>7</sup>.

## დიაგრამა 8

რა შესაძლებლობების არსებობას ისურვებდით თქვენს მუნიციპალიტეტში გართობა-დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით? (%)



**შენიშვნა:** რესპონდენტებს პასუხის სამი ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

გამოკითხული ახალგაზრდების 63%-ის თქმით, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის ფიზიკური სივრცე არ არსებობს, დაახლოებით მეხუთედს (19%) ამ

<sup>6</sup> ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. Fisher's exact=0.032; 0.003

<sup>7</sup> დასახლების ტიპის მიხედვით განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. Fisher's exact=0.014; 0.000.

საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია არ აქვს. 14%-ის თქმით კი მსგავსი სივრცე მუნიციპალიტეტში არსებობს (იხ. დანართი, ცხრილი 32). მათგან ვინც ამბობს, რომ მუნიციპალიტეტში ასეთი სივრცე არსებობს, უმრავლესობას ერთხელ მაინც უსარგებლია აღნიშნული სივრცით (75%) და ყველაზე ხშირად პროექტების/ღონისძიებების დასამუშავებლად და/ან დასაგეგმად (61%) და ტრენინგებისა და/ან ლექციების მოსასმენად (56%) გამოუყენებია. რესპონდენტებს, რომლებსაც ჰქონდათ ინფორმაცია ფიზიკური სივრცის არსებობის შესახებ, მაგრამ არ უსარგებლია სივრცით (25%), ყველაზე ხშირად არსარგებლობის მიზეზად აღნიშნული სივრცის გამოყენებისადმი ინტერესის არქონასა (50%) და საცხოვრებელი ადგილიდან შორს მდებარეობას (16%) ასახელებენ (იხ. დანართი, ცხრილი 33, 34\_1 – 34\_6; 35\_1 – 35\_9).

## მოხალისეობა

გამოკითხული ახალგაზრდების 37% აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში<sup>8</sup>. გამოკითხული ახალგაზრდების 7% ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მონაწილეობა მიუღია მოხალისეობრივ აქტივობებში საზღვარგარეთ, 17%-ის განცხადებით, ყოფილა მოხალისე საქართველოშიც და საზღვარგარეთაც, ხოლო 36%-ის განცხადებით, არ მიუღია მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობა (იხ. დიაგრამა 9). საინტერესოა, რომ 14-17 წლის ახალგაზრდები უფრო იშვიათად ამბობენ, რომ მოხალისეობრივ აქტივობებში არიან ჩართული, ვიდრე სრულწლოვანი რესპონდენტები<sup>9</sup>.


## დიაგრამა 9

---

<sup>8</sup> მოხალისეობად ითვლება სასარგებლო საქმიანობა, რომელიც ხორციელდება სხვების დასახმარებლად, რომელიც არ არის მოტივირებული რაიმე ფინანსური ან მატერიალური სარგებლის მიღებით.

<sup>9</sup> ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით სხვაობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. Fisher's exact=0.000

გასული 12 თვის განმავლობაში მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ? (%)



**შენიშვნა:** რადგანაც გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლები დამრგვალებული ციფრია, შესაძლებელია, ყველგან 100%-ად არ დაჯამდეს.


ის ახალგაზრდები, რომლებიც აცხადებენ, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ (36%), ამის მიზეზად შემდეგ ფაქტორებს ასახელებენ - 39% აცხადებს, რომ არ აქვს ინფორმაცია, როგორ ჩაერთოს მოხალისეობრივ საქმიანობაში, 18%-ს ამისთვის საკმარისი დრო არ აქვს, 18% თვლის, რომ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში მოხალისეობის შესაძლებლობები არამრავალფეროვანია. სხვა ტიპის პასუხები კი უფრო იშვითად დასახელდა (იხ. დიაგრამა 10). საინტერესოა, ვაჟები უფრო ხშირად ამბობენ, რომ არ არიან ინფორმირებული, როგორ ჩაერთონ მოხალისეობრივ აქტივობებში, ვიდრე გოგონები<sup>10</sup>.

**დიაგრამა 10**

<sup>10</sup> ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. Fisher's exact=0.022

რა ფაქტორის/ფაქტორების გამო ვერ/არ მოხალისეობთ? (%)  
შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით

■ 14-17წელი ■ 18-22წელი ■ 23-25წელი



**შენიშვნა:** კითხვა დაესვა მას, ვინც თქვა, რომ ბოლო 12 თვის მანძილზე მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია - 36%. რესპონდენტებს პასუხის სამი ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

### სპორტული აქტივობები

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების 12% აცხადებს, რომ სპორტით ან სხვა ფიზიკური აქტივობით თითქმის ყოველ დღე არის დაკავებული (5-7 დღე კვირაში), 24%-ის განცხადებით, კვირაში 3-4 დღე არის ფიზიკური აქტივობით დაკავებული, 18%-ის თქმით - კვირაში 1-2 დღე, 18% ამბობს, რომ თვეში სულ რამდენჯერმე (უფრო იშვიათად, ვიდრე კვირაში 1-2 დღე) აქტიურობს ფიზიკურად, წელიწადში რამდენჯერმე კი გამოკითხულთა 13% აქტიურობს. 16% ამბობს, რომ საერთოდ არ არის დაკავებული ფიზიკური/სპორტული აქტივობით.


კითხვაზე, თუ რომელ სპორტულ აქტივობაში ისურვებდნენ ჩართვას, მათ შორის ყველაზე მეტჯერ კალათბურთი (50%) და ცურვა (46%) დაასახელეს, ასევე ხშირად დასახელდა

ფიტნეს ვარჯიშები (53%), ფრენბურთი (51%) და ცეკვა (22%). სხვა სახის სპორტული აქტივობები კი უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დანართი, ცხრილი 41\_1 – 41\_11). საინტერესოა, რომ ცეკვასა და ცურვაში ჩართულობა უფრო მეტ მდებარეობითი სქესის წარმომადგენლს სურს, ვიდრე მამრობითი სქესის წარმომადგენელ რესპონდენტებს<sup>11</sup>.

იმ გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა, რომლებიც იშვიათად ან საერთოდ არ არიან დაკავებული სპორტული ან ფიზიკური აქტივობით (55%), ამის მიზეზად არასაკმარის დროს (28%), საჭირო ინფრასტრუქტურის არარსებობას (38%), სასურველი წრის არარსებობას (28%), კვალიფიციური მწვრთნელების არარსებობას (22%) და არასაკმარის ფინანსურ შესაძლებლობას (16%) ასახელებენ (იხ. დიაგრამა 11). საინტერესოა, რომ მიზეზად სასურველი წრეების არარსებობას უფრო ხშირად 23-25 წლის რესპონდენტები ასახელებენ, ვიდრე სხვა ახალგაზრდები<sup>12</sup>.

### დიაგრამა 11

**რატომ არ აქტიურობთ ფიზიკურად? (%)**  
შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



**შენიშვნა:** კითხვა დაესვა მას, ვინც თქვა, რომ თვეში სულ რამდენჯერმე, წელიწადში რამდენჯერმე ან საერთოდ არ აქტიურობს ფიზიკურად - 55%. რესპონდენტებს პასუხის სამი ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

<sup>11</sup> სქესის მიხედვით განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. Fisher's exact=0.002; 0.041


<sup>12</sup> ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. Fisher's exact=0.002

## მავნე ნივთიერებებზე/ჩვევებზე დამოკიდებულება

ახალგაზრდებს კვლევის ფარგლებში ეკითხებოდნენ, რამდენად პრობლემურია ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში მავნე ნივთიერებებსა და ჩვევებზე დამოკიდებულება. გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა ახალგაზრდებში სიგარეტის მოხმარება პრობლემურია (77%) (ძალიან პრობლემური 60%, უფრო პრობლემურია, ვიდრე არ არის პრობლემური 17%), ასევე უმრავლესობა ამბობს, რომ ახალგაზრდებში ალკოჰოლის მოხმარება პრობლემურია (70%) (ძალიან პრობლემური 47%, უფრო პრობლემურია, ვიდრე არ არის პრობლემური 23%). უმრავლესობას პრობლემურად მიაჩნია ახალგაზრდებში მარიხუანას (74%) (ძალიან პრობლემური 54%, უფრო პრობლემურია, ვიდრე არ არის პრობლემური 20%) და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება (52%) (ძალიან პრობლემური 40%, უფრო პრობლემურია, ვიდრე არ არის პრობლემური 12%). გარდა ამისა, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი ფიქრობს, რომ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების აზარტულ თამაშებში ჩართულობა პრობლემურია (68%) (ძალიან პრობლემური 47%; უფრო პრობლემურია, ვიდრე არ არის პრობლემური 21%) (იხ. დიაგრამა 12).

დიაგრამა 12

### რამდენად პრობლემურია თქვენს მუნიციპალიტეტში შემდეგი საკითხები? (%)






## მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები

გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე მეტი (60%) აცხადებს, რომ მუნიციპალიტეტიდან და/ან ქვეყნიდან წასვლა სურს. 35%-ის განცხადებით, სურს ქვეყნიდან წასვლა, ხოლო 28%-ს მუნიციპალიტეტიდან/მუნიციპალიტეტიდანაც სურს წასვლა. ახალგაზრდების დაახლოებით მესამედი (31%) ამბობს, რომ არ სურს მიგრირება, 15%-მა კი კითხვაზე პასუხი არ იცის (იხ. დიაგრამა 13).

### დიაგრამა 13

#### გსურთ თუ არა თქვენი მუნიციპალიტეტიდან/ქვეყნიდან წასვლა? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



**შენიშვნა:** რესპონდენტებს ორი პასუხის ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.


მუნიციპალიტეტიდან და ქვეყნიდან წასვლის სურვილის ძირითადად მიზეზად ახალგაზრდები დასაქმების უკეთეს შესაძლებლობას (68%) და უკეთესი განათლების მიღების შესაძლებლობას (59%) ასახელებენ. ასევე, ხშირად დაასახელეს საკუთარი თავის რეალიზების უკეთესი შესაძლებლობა (47%) და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (49%) (იხ. დანართი, ცხრილი 44\_1 – 44\_9).

## ტოლერანტობა

კვლევის ფარგლებში მონაწილეებს ტოლერანტობასთან დაკავშირებულ საკითხებზეც სთხოვდნენ აზრის გამოთქმას. რესპონდენტთა თითქმის ნახევარი ამბობს, რომ ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს რელიგიური (49%), ეთნიკური (52%) და სექსუალური (59%) უმცირესობებისადმი (იხ. დიაგრამა 14).

დიაგრამა 14

როგორი დამოკიდებულება გაქვთ შემდეგი ჯგუფებისადმი?  
(%)



შენიშვნა: რადგანაც გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლები დამრგვალებული ციფრია, შესაძლებელია, ყველგან 100%-ად არ დაჯამდეს.

დასკვნა

ამრიგად, გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე მეტი ფიქრობს, რომ მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში ახალგაზრდების ინტერესები გათვალისწინებულია, ხოლო საწინააღმდეგო მოსაზრება 38%-ს აქვს. ახალგაზრდების უმრავლესობა ეთანხმება მოსაზრებას, რომ მუნიციპალიტეტში მათნაირ ადამიანებს შეუძლიათ გავლენა იქონიონ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, გამოკითხული ახალგაზრდების მესხუთედს კი საწინააღმდეგო მოსაზრება აქვს.

კვლევაში მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო ახალგაზრდების სამოქალაქო აქტიურობის საკითხს. შეკითხვაზე, თუ რა სახის სამოქალაქო აქტიურობაში ჩაერთვნენ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, მონაწილეები ყველაზე ხშირად საზოგადოებრივი სივრცის დასუფთავებაში მონაწილეობას (სადარბაზო, ქუჩა, სკოლა, ეკლესიის ეზო და მსგავსი ადგილები), მოხალისეობრივ აქტივობებში ჩართულობას და სოციალურ ქსელებსა და ფორუმებში სხვადასხვა საკითხის განხილვაში მონაწილეობას ასახელებენ. საინტერესოა, რომ საზოგადოებრივი სივრცის დასუფთავების აქტივობებში მონაწილეობას უფრო

ხშირად 14-17 წლის რესპონდენტები იღებენ, ვიდრე სხვა ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენლები, ხოლო საპროტესტო დემონსტრაციებში კი უფრო ხშირად სრულწლოვანი მონაწილეები მონაწილეობენ, ვიდრე 14-17 წლის ახალგაზრდები. ამასთანავე, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა, რომელიც არჩევნების დროს სრულწლოვანი იყო, ამბობს, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო.

კვლევის ფარგლებში მონაწილეებს სთხოვეს, დაესახელებინათ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების წინაშე მდგარი ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა. გამოკითხულთა უმრავლესობა მთავარ პრობლემად დასაქმების საკითხს მიიჩნევს. ასევე, პრობლემურად დასახელდა შემდეგი პასუხები: თავისუფალი დროის ხარისხიანად გატარების შესაძლებლობის ნაკლებობა (დასვენება/გართობა), ტექნოლოგიებთან წვდომა, ვარჯიში/სპორტულ აქტივობაში ჩართვის შესაძლებლობა, პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა, უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობა, ოჯახის წევრების საზღვარგარეთ მიგრაცია და ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა. საინტერესოა, რომ დასაქმებასა და პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობას პრობლემად უფრო მეტი 18-22 წლის ახალგაზრდა მიიჩნევს, ვიდრე სხვა ასაკობრივი კატეგორიის ახალგაზრდები. გარდა ამისა, საბაზისო საჭიროებებზე ხელმისაწვდომობას უფრო მეტი 23-25 წლის ახალგაზრდა მიიჩნევს პრობლემად, ვიდრე სხვა ასაკობრივი კატეგორიები. ასევე, საინტერესოა, რომ სპორტულ აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობა პრობლემად უფრო ხშირად სოფლის ტიპის დასახლებაში სახელდება, ვიდრე ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდების მიერ. გარდა ასაკობრივი კატეგორიისა და დასახლების ტიპისა, განსხვავებები დაფიქსირდა სქესის მიხედვით გაანალიზებულ მონაცემებშიც. საინტერესოა, რომ უფრო მეტი მდედრობითი სქესის რესპონდენტი ამბობს, რომ საბაზისო საჭიროებებზე ხელმისაწვდომობა, დასვენება და ოჯახის წევრების საზღვარგარეთ მიგრაცია პრობლემური საკითხებია, ვიდრე მამრობითი სქესის წარმომადგენელი რესპონდენტები.

რაც შეეხება ახალგაზრდულ პროგრამებში ახალგაზრდების ჩართულობას, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობას ერთხელ მაინც მიუღია მონაწილეობა მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ პროგრამებში. კვლევისთვის ასევე საინტერესო იყო, მიუმართავთ თუ არა ახალგაზრდებს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტისთვის რაიმე პროექტის ან/და ინიციატივის განხორციელების მიზნით. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა ნახევარს მიუმართავს მსგავსი იდეით მუნიციპალიტეტისთვის, ხოლო 47%-ს - არა. მათ, ვისაც მიუმართავს მუნიციპალიტეტისთვის რაიმე სახის ინიციატივის/პროექტის განსახორციელებლად, ყველაზე ხშირად პროექტის/აქტივობის დაფინანსებისთვის და ფიზიკური სივრცის გამოყოფისთვის მიუმართავს, ასევე, ხშირად დასახელდა ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის და ტექნიკური მხარდაჭერისთვის (პროექტორი, ლეპტოპი და ა.შ.) მიმართვა. მონაწილეთა უმრავლესობა ამბობს, რომ კმაყოფილია მიღებული დახმარებით.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდები ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ძირითადად სოციალური

ქსელების საშუალებით იღებენ. ინფორმაციის მიღების წყაროდ დასახელდა, ასევე, ახლობლები/მეგობრები/ნათესავები და ტელევიზია.

გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა ამბობს, რომ საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა გასული 12 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მხოლოდ 34% აცხადებს, რომ მიიღო მონაწილეობა. რაც შეეხება მიზეზს, თუ რატომ ვერ ჩაერთვნენ გასული 12 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გამოკითხული ახალგაზრდების მეხუთედზე მცირედით ნაკლები ამბობს, რომ არ ჰქონდა ინფორმაცია, ხოლო 15%-ის განცხადებით, არავის მიუწვევია. კონკრეტულ მიზეზს არ ასახელებს გამოკითხულთა მეხუთედი და ამბობს, რომ უბრალოდ არ მიიღო მონაწილეობა.

კვლევის ფარგლებში მონაწილეებს ასევე ეკითხებოდნენ, უსარგებლიათ თუ არა შემდეგი სახის სერვისებით: არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამები (ტრენინგ კურსები, სემინარები, ვორკშოპები და სხვა), მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული და სპორტული წრეები, საბანაკე პროგრამები, საინფორმაციო და საკონსულტაციო სერვისები. მონაწილეების დაახლოებით მესამედი ამბობს, რომ არცერთი ჩამოთვლილი პროგრამით არ უსარგებლია. დანარჩენ მონაწილეებს კი ყველაზე ხშირად სხვადასხვა კულტურული და სპორტული წრით და არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამებით უსარგებლია. აღნიშნული სერვისებით არსარგებლობის მიზეზად კი ყველაზე ხშირად ინფორმაციის არქონა, პანდემია და სურვილის არქონა დასახელდა. ახალგაზრდების 13% კი აცხადებს, რომ სერვისი არ პასუხობდა მის საჭიროებებს.

კვლევა ასევე სწავლობდა, ახალგაზრდების წვდომას საინფორმაციო ტექნოლოგიებზე. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა ამბობს, რომ აქვს წვდომა კომპიუტერთან და ინტერნეტთან. რესპონდენტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ინტერნეტი, რომელთანაც წვდომა აქვთ ხარისხიანია. ზოგადად, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა საინფორმაციო ტექნოლოგიებს ყველაზე ხშირად მათივე ინიციატივით სასწავლო მიზნით, გასართობად, ინფორმაციის მისაღებად და სოციალური ქსელებით სარგებლობისთვის იყენებენ.

კვლევის ინტერესის საგანს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების დასაქმების საკითხებიც წარმოადგენდა. მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ახალგაზრდისთვის მუნიციპალიტეტში დასაქმება რთულია. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 14-17 წლის რესპონდენტთა ძირითადი ნაწილი დასაქმებული არაა და მათი უმრავლესობა ამ ეტაპზე სამუშაოს არ ეძებს. რაც შეეხება სრულწლოვან ახალგაზრდებს, 18-23 წლის ახალგაზრდების 15% ამბობს, რომ დასაქმებულია, ხოლო 43% ეძებს სამუშაოს. რაც შეეხება რესპონდენტებს 23-დან 26 წლამდე, მათი დაახლოებით მესამედი ამბობს, რომ დასაქმებულია, ხოლო 44% ეძებს სამსახურს. დასაქმებულ რესპონდენტთა ნახევარზე მეტი ამბობს, რომ მათ სამუშაო ადგილზე ღირსეული და უსაფრთხო შრომის პირობები დაცულია.

რაც შეეხება იმ ახალგაზრდებს, რომლებიც არ არიან დასაქმებული და ეძებენ სამსახურს, მათი ძირითადი ნაწილი 1-12 თვეა, რაც სამსახურს ეძებს. ახალგაზრდები, რომლებიც

სამსახურს ეძებენ, ფიქრობენ, რომ მათი უმუშევრობის მიზეზები კოვიდ 19-ის პანდემია, დასაქმების სერვისების არარსებობა და ზოგადად სამუშაო ადგილების ნაკლებობაა. ასევე მიზეზად ხშირად დაასახელეს უცხო ენების არცოდნა და ტექნიკური უნარ-ჩვევების არქონა. კითხვაზე, თუ რა დაეხმარებოდათ დასაქმებაში, ყველაზე ხშირად რესპონდენტებმა სტაჟირების შესაძლებლობა, პროფესიული ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება და დასაქმების სერვისებზე ხელმისაწვდომობა დასახელეს.

ზოგადად, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა ამბობს, რომ დასაქმების მთავარი წინაპირობა ცოდნა/განათლება და სამუშაო გამოცდილების ქონაა. ასევე, ხშირად დასახელდა მეტი სამუშაო ადგილების არსებობა და მონდომება/მოტივაცია.

კვლევისთვის საინტერესო იყო იმის გარკვევა, თუ რამდენად კმაყოფილია ახალგაზრდები მუნიციპალიტეტში არსებული გართობა-დასვენების შესაძლებლობით, გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე მეტი პასუხობს, რომ უკმაყოფილო ან ძალიან უკმაყოფილოა. კითხვაზე, თუ დამატებით რა შესაძლებლობების არსებობას ისურვებდნენ მათ მუნიციპალიტეტში გართობა-დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში გამოკითხულ ახალგაზრდებს ყველაზე ხშირად ახალგაზრდული ცენტრის, კინოთეატრის, ატრაქციონების პარკის, ლიტერატურული კაფის და საცურაო აუზის ფუნქციონირება სურთ. აღსანიშნავია, რომ ასაკობრივ ჯგუფებს შორის სხვაობა ბიბლიოთეკასთან და ახალგაზრდულ ბანაკებთან დაკავშირებით შეიმჩნევა. ბიბლიოთეკის და ახალგაზრდული ბანაკების ფუნქციონირება უფრო ხშირად 14-17 წლის რესპონდენტებისთვისაა სასურველი, ვიდრე სრულწლოვანი რესპონდენტებისთვის. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ განსხვავება რესპონდენტთა დასახლების ტიპის მიხედვითაც აღმოჩნდა, სკვერის/ბაღის არსებობის სურვილს უფრო ხშირად სოფლად მცხოვრები ახალგაზრდები აფიქსირებენ, ვიდრე ქალაქში მცხოვრები რესპონდენტები.

გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობის თქმით, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის ფიზიკური სივრცე არ არსებობს, დაახლოებით მეხუთედს ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია არ აქვს. 14%-ის თქმით კი მსგავსი სივრცე მუნიციპალიტეტში არსებობს. მათგან ვინც ამბობს, რომ მუნიციპალიტეტში ასეთი სივრცე არსებობს, უმრავლესობას ერთხელ მაინც უსარგებლია აღნიშნული სივრცით და ყველაზე ხშირად პროექტების/ღონისძიებების დასამუშავებლად და/ან დასაგეგმად და ტრენინგებისა და/ან ლექციების მოსასმენად გამოუყენებია.

კვლევა ახალგაზრდების მოხალისეობრივ აქტივობებში ჩართულობასაც ეხებოდა. გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ. საინტერესოა, რომ 14-17 წლის ახალგაზრდები უფრო იშვიათად ამბობენ, რომ მოხალისეობრივ აქტივობებში არიან ჩართული, ვიდრე სრულწლოვანი რესპონდენტები.

ის ახალგაზრდები, რომლებიც აცხადებენ, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ მიუღიათ მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ (36%), ამის მიზეზად მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართვის შესახებ ინფორმაციის არქონასა და დროის არქონას ასახელებენ. დაახლოებით მეხუთედი კი

